ბათუმის უნივერსიტეტი

ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტის გაზეთი
ნოემბერ-დეკემბერი 2019

ვილოცავთ შობა-ახალ წელს

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებს და პროფესორ-მასწავლებლებს ვულოცავ დამდეგ ახალ წელს, ვუსურვებ ნაყოფიერ სამეცნიერო საქმიანობას, აქტიურ საზოგადოებრივ და შემოქმედებით ცხოვრებას.

ჩემთვის მნიშვნელოვანია ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის წინსვლა და წარმატება. მიხარია, რომ ჩვენი უნივერსიტეტი წლიდან წლამდე ვითარდება და მაღალი სტანდარტების საგანმანათლებლო ცენტრად ყალიბდება.

მახარებს ის ფაქტი, რომ წელს აჭარაში არაერთ მნიშვნელოვან საგანმანათლებლო პროექტს ჩაეყარა საფუძველი. დაიწყო განათლების და მეცნიერების ქალაქის მშენებლობა. დარწმუნებული ვარ, ჩვენ ერთად შევძლებთ შევქმნათ ყველაზე მნიშვნელოვანი რესურსი - განათლებული ახალგაზრდობა ჩვენს რეგიონში.

განათლება არის გზა, რომლითაც ყველანი ერთად შევძლებთ ჩვენი ქვეყნის აღმშენებლობას. განათლების რეფორმის ერთ-ერთ პრიორიტეტს თანამედროვე ინფრასტრუქტურის შექმნა წარმოადგენს, რომელიც ხელს შეუწყობს საგანმანათლებლო პროცესის თანამედროვე და ტექნოლოგიურად გამართულ გარემოში წარმართვას. ამასთანავე, მნიშვნელოვანია სწავლების ყველა ეტაპზე როგორც უახლეს ტექნოლოგიებთან წვდომის გაზრდა, ასევე მომავალ თაობაში პროფესიული უნარების განვითარება და ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება. სწორედ ამ მიზანს ემსახურება განათლების ეროვნული იდეა. მნიშვნელოვანია ახალგაზრდების და სტუდენტების მაქსიმალური ჩართულობა, ახალი იდეები და ახალი ხედვა.

გილოცავთ დამდეგ ახალ წელს! დარწმუნებული ვარ, 2020 წელი ჩვენი ქვეყნისათვის კიდევ ერთი წინგადადგმული ნაბიჯი იქნება.

აჭარის ა.რ. მთავრობის თავმჯდომარე
თორნიკე რიყვაძე

დამდეგ შობა ახალ-წელს ვულოცავ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებს, პროფესორ-მასწავლებლებს, ადმინისტრაციას, უნივერსიტეტის თითოეულ გულშემატკივარსა და სრულიად საქართველოს. თითოეულ თქვენგანს გისურვებთ ჯანმრთელობას, კეთილდღეობას, სიკეთეს, დღეგრძელობასა და პროფესიულ წინსვლას.

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი წარმატებულად განაგრძობს მომავალი თაობების აღზრდის საპატიო და საპასუხისმგებლო მისიას. უპირველეს ყოვლისა, მადლობა მინდა გადაგიხადოთ თითოეულ თქვენგანს ბსუ-ს წარმატებებისათვის, მასზე ზრუნვისათვის, თანადგომისათვის, ხარისხიანი სწავლებისა და ფუნდამენტური კვლევებისათვის. სწორედ თქვენი ძალისხმევით ახერხებს უნივერსიტეტი საუკუნოვანი ტრადიციების, გამოცდილების დაცვასა და თანამედროვე საერთაშორისო საგანმანათლებლო-სამეცნიერო მოთხოვნებთან ადაპტირებას.

2019 წელი ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტისათვის წარმატებული იყო. წარმატებით გაირა აკრედიტაცია რამდენიმე საგანმანათლებლო პროგრამამ, განხორციელდა ინფრასტრუქტურული პროექტები, განათლების ინტერნაციონალიზაციის მიზნით არაერთი საერთაშორისო პროექტი და გაცვლითი პროგრამა ამოქმედდა. ბსუ-სთვის ფუნდამენტურ ღირებულებად რჩება თანამედროვე, ინოვაციური მეთოდებით სწავლება, სამეცნიერო კვლევა-ძიების წარმოება, აკადემიური თავისუფლების დაცვა, სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებლების პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა.

დამდეგ 2020 წელს კიდევ ერთხელ გილოცავთ ყველას - სტუდენტობას, პროფესურას, ადმინისტრაციასა და ტექნიკურ პერსონალს. ეს წელი ყველასათვის სიყვარულის, თანადგომის, ურთიერთპატივისცემის, წინსვლისა და ოცნებების ასრულების წელი ყოფილიყოს.

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო
უნივერსიტეტის
რექტორი მერაბ ხალვაში



ყოველი ახალი წელი იმედებისა და სურვილების ასრულებასთან, ახლის, უკეთესის დაწყებასთან ასოცირდება და ბუნებრივია, გამონაკლისი არც მომავალი 2020 წელია. ჩვენი უძველესი და უმდიდრესი წარსულის, ტრადიციების მქონე ქვეყანა უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილებების მოლოდინშია, სრულიად სხვაგვარი პასუხისმგებლობებით, სრულიად ახლებური ხედვებით. ამის ვალდებულებას საქართველოს ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის თავმჯდომარის სტატუსიც აკისრებს, როგორც ევროპული ოჯახის ახალგაზრდა და პერსპექტიული მომავლის მქონე სახელმწიფოს. ეს მომავალი ახალგაზრდა თაობებზე გადის, იმ თაობებზე, რომლებიც მთელს ქვეყანაში და მათ შორის, ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის კედლებში იზრდებიან.

გულწრფელად ვიტყვი, რომ ჩემს მშობლიურ უნივერსიტეტს, რომელთანაც არა მხოლოდ სტუდენტობის წლები, არამედ პედაგოგიური მოღვაწეობაც მაკავშირებს, სრულიად სხვაგვარად ვგულშემატკივრობ. თქვენი ყოველი ახალი წარმატებული ნაბიჯი, ყოველი ახალი გამარჯვება ჩემთვის განსაკუთრებით სასიხარულოა, ვინაიდან სინათლე, რომელიც აქ იბადება, არა მხოლოდ აჭარას, არამედ სრულიად საქართველოს ასხივოსნებს და ეს ბუნებრივიცაა - იყო შენი საქმის პროფესიონალი, ეს უკვე პატრიოტიზმია, შენი წილი სამშობლოს მსახურებაა და ის ციხესიმაგრეა, რომელსაც, საბოლოოდ, ყველა ჩვენგანის წარმატებული მომავალი ჰქვია.

დამდეგ შობა-ახალ წელს გილოცავთ! ახალი 2020 წელი ქვეყნის გამთლიანების, ძლიერების, წინსვლისა და სიკეთის მომტანი ყოფილიყოს თითოეული თქვენგანისა და სრულიად საქართველოსათვის!

პატივისცემით, აჭარის ავტონომიური
რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს
თავმჯდომარე დავით გაბაიძე

გილოცავთ დამდეგ შობა-ახალ წელს უნივერსიტეტის თითოეულ წარმომადგენელსა და სრულიად საქართველოს! 2020 წელი წარმატების, ბედნიერების, ჯანმრთელობის, მშვიდობისა და სიკეთის მომტანი ყოფილიყოს თითოეული თქვენგანისა და თქვენი ოჯახებისათვის.

დიდია ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის წილი მაღალკვალიფიციური, კონკურენტუნარიანი კადრების მომზადებასა და ქვეყნის განვითარებაში. ეს ჩვენთვის უდიდეს მიღწევასა და პატივთან ერთად, უდიდესი გამოწვევაა!

ბსუ ყოველთვის ღირსეულად ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, ყოველწლიურად იზრდება ჩვენს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლებისა და სამეცნიერო კვლევა-ძიების ხარისხი, უმჯობესდება მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. უნივერსიტეტში ყველაფერი კეთდება იმისათვის, რათა სტუდენტმა მიიღოს ხარისხიანი განათლება, რაც თითოეული უნივერსიტეტელის დამსახურებაა.

მინდა, კიდევ ერთხელ თითოეულ თქვენგანს გულითადად მოგილოცოთ დამდეგი შობა-ახალი წელი!

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო
უნივერსიტეტის
ადმინისტრაციის ხელმძღვანელი
ალექსანდრე მითაიშვილი

შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის მთავარ მეცნიერ-თანამშრომელს, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორს, ბატონ ნოდარ კახიძეს

ღრმად პატივცემულო ბატონო ნოდარ, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სახელით გულითადად გილოცავთ თქვენი დაბადების 90 წლისთავს. თქვენი ცხოვრების ექვს ათეულ წელზე მეტი მიუძღვენით ქართველოლოგიური კვლევის უმნიშვნელოვანესი მიმართულების – ქართული ეთნოლოგიის მეტად აქტუალური პრობლემების საფუძვლიან შესწავლას.

განსაკუთრებით დიდია თქვენი წვლილი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის ყოფისა და კულტურის უმნიშვნელოვანესი პრობლემების კვლევაში, რომელსაც საფუძვლად უდევს მდიდარი საველე საექსპედიციო მასალები, რომელიც თქვენივე ხელმძღვანელობით იკრიბებოდა. თქვენ როგორც ქართული ეთნოლოგიური სკოლის ტრადიციებზე აღზრდილმა, მნიშვნელოვანი გამოკვლევებით გაამდიდრეთ ქართული ეთნოლოგიური მეცნიერება. თქვენ მიერ შექმნილი ნაშრომები დიდ სამსახურს გაუწევს მომავალ თაობებს, რომლებიც წარმატებით ეუფლებიან მეცნიერებას, მის მოწინავე დარგს ქართულ ეთნოლოგიას.

ბატონო ნოდარ, გისურვებთ დღეგრძელობას, ჯანმრთელობას, დიდ წარმატებებს ქართული ეთნოლოგიურ მეცნიერების საკეთილდღეოდ.

გიორგი კვესიტაძე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი

25 დეკემბერს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის დაარსებიდან 60 წლისთავი საზეიმო ვითარებაში აღინიშნება. სიმბოლურია, რომ ამ დღეს ინსტიტუტის ეთნოლოგიისა და სოციოლოგიური კვლევის განყოფიბის მთავარ მეცნიერ-თანამშრომელს, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორს, ნოდარ კახიძის დაბადებიდან 90 წლის საიუბილეო დღეცაა. ინსტიტუტის კოლექტივისათვის გასაგებია, რომ ამ დაწესებულების ისტორია და მისი ერთ-ერთი თანამშრომლის ბიოგრაფია მჭიდრო ურთიერთკავშირშია. ე.ი. როცა ვსაუბრობთ ეთნოლოგიის განყოფილების, ზოგადად ინსტიტუტის წარმატებებზე და აღვნიშნავთ თითოეული მკვლევრის წვლილს, ნათელი ხდება, რომ ამ მიმართულებით ბატონ ნოდარ კახიძის წილი მეტად თვალსაჩინოა.

ბატონ ნოდარ კახიძის ღვაწლი მეცნიერული შრომების შექმნის გარდა გამორჩეულია სხვა მხრივაც. ამასთან ისიც უნდა ვიცოდეთ, რომ მკვლევარი უნივერსიტეტში ისტორიის ფაკულტეტზე კითხულობდა ლექციებს. მისი ხელმძღვანელობით დაცულია დისერტაციები და წლების განმავლობაში გაუმართავს ეთნოგრაფიული ექსპედიციები არა მარტო აჭარაში, არამედ გურია-სამეგრელოში, მესხეთ-ჯავახეთსა და სვანეთში. ამიტომაცაა, რომ მეცნიერის მიერ დაბეჭდილი შრომები თუ კონფერენციებზე წაკითხული მოხსენებები მეტად საინტერესო იყო მკითხველისა და მსმენელისათვის. ამ მოკლედ, სქემატურად წარმოდგენილ მონაცემებს უნდა დაემატოს სხვა თვისებები, როგორიცაა ნათელი მეხსიერება, ფაქტებისა და მოვლენების სამართლიანად განსჯის უნარი, თბილი ურთიერთობა კოლეგებთან, მზადყოფნა დახმარების გასაწევად, მოკრძალება საკუთარი ღვაწლის წარმოჩენის თაობაზე და რაც მთავარია, უბადლო შემოქმედი საქვეყნო საქმისა, დღენიადაგ სიკეთის მთესველი.

ბატონ ნოდარს, ნახევარსაუკუნოვანი ურთიერთობით გაჯერებულ უფროს კოლეგას, ვუსურვებ ჯანმრთელობას, დღეგრძელობას, ახალ-ახალი წარმატებებით ოჯახისა და მეგობრების გახარებას.

ჯემალ ვარშალომიძე, ისტორიის დოქტორი, ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი

ბატონო ნოდარ, უდიდესი პატივისცემითა და მოკრძალებით გილოცავთ იუბილეს.

ბატონო ნოდარ, თქვენ გამორჩეული პიროვნება ბრძანდებით. თქვენ ამშვენებთ ჩვენს კუთხეს, ქალაქს, უნივერსიტეტს და ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის სახესა და მატეანეს წარმოადგენთ. სიმბოლურია, რომ ინსტიტუტის საიუბილეო წელს დაემთხვა თქვენი იუბილე. ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტი და ბატონი ნოდარ კახიძე ერთად შემატებული წლები და თანაარსებობაა. თქვენ ხართ ქართული ეთნოლოგიის მესვეური, ამ სკოლის ღირსეული წინამძღოლი. რამდენიმე ათეული წელია ერთგულად, დიდი პასუხისმგებლობით ემსახურებით ახალგაზრდა თაობათა დაკვალიანებას. არაერთი ახალგაზრდისათვის გაგიკვალავთ პროფესიული გზა და მათ შორის, მეც მხვდა წილად ყოფილიყავით ჩემი სამეცნიერო ხელმძღვანელი.

მართლაცდა, თქვენ მიერ განვლილი გზა ღირსეული, საამაყო და მისაბაძია. თქვენი სიტყვითა და საქმით ყოველთვის დგახართ ერის სამსახურში. ღვაწლმოსილი, გამორჩეული მეცნიერი და ჭეშმარიტი მამულიშვილი ბრძანდებით, მაგრამ ყველაზე დიდი და მთავარი ისაა, რომ თქვენ უიშვიათესი ადამიანობით, მოკრძალებითა და თავმდაბლობით გამოირჩევით. ეს კი, მხოლოდ დიდბუნებოვან, რჩეულ ადამიანთა ხვედრია. ასეთი რჩეულობაც დაგანათლა უფალმა. ნოდარ დუმბაძეს დავესესხები და გავიმეორებ: "ადამიანი ტაძრის კედელზე მოხატული ფრესკა არ არის, რომ ერთ განზომილებაში უმზირო, ან მოშალო... მას ირგვლივ უნდა შემოუარო და იმ მხრიდან უმზირო, საიდანაც ლამაზია." თქვენი პიროვნება, ბატონო ნოდარ, რა კუთხიდანაც უნდა შემოვუაროთ, ალალმართალი, დიდბუნებოვანი, ამაღლებული და სულიერებით გამორჩეული მრავალმხრივი სამზერია.

ბატონო ნოდარ, ინსტიტუტის თანამშრომელთა სახელით გილოცავთ, დიდხანს სიცოცხლესა და ჯანის სიმრთელეს გისურვებთ. თქვენი ნამოღვაწარი ფასეულია და თქვენს ხელს, თქვენს გონს კვლავ დიდხანს ეკეთებინოს კეთილი და მამულიშვილური საქმეები. თქვენი ძვირფასი ადამიანობით დიდხანს ყოფილიყავით ღვთისა და ერის სამსახურში. უფალმა დაგლოცოთ, ყველა წმინდანის ლოცვის ძალა და მადლი შეგეწიოთ.

როინ მალაყმაძე, ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის დირექტორი

ნოდარ კახიძე – 90

დაბადების თარიღი: 1929 წლის 25 დეკემბერი
დაბადების ადგილი: სოფელი ზედა ჩხუტუნეთი, ბათუმის რაიონი
კატეგორია: ეთნოლოგია, ისტორიკოსი

1954 წელს დაამთავრა შოთა რუსთაველის სახელობის ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტი.

1954-1962 წლებში მუშაობდა ხელვაჩაურის რაიონის ჩხუტუნეთის საშუალო სკოლაში ისტორიის მასწავლებლად და სასწავლო ნაწილის გამგედ. 1962-1965 წლებში სწავლობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ასპირანტურაში ეთნოგრაფიის სპეციალობით. 1966 წლიდან დღემდე მუშაობს ბათუმის ნიკო ბერძენიშვილის სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტში, რომელიც 2011 ნლიდან ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაქვემდებარებაშია. ინსტიტუტში იყო ჯერ უმცროსი, შემდეგ უფროსი მეცნიერი თანამშრომელი. 1979-2019 წლებში ხელმძღვანელობდა ინსტიტუტის ეთნოგრაფიის განყოფილებას, რომელიც 2010 წლიდან იწოდება ეთნოლოგიისა და სოციოლოგიური კვლევის განყოფილებად. 2010 წლიდან არის მთავარი მეცნიერი თანამშრომელი. 2011-2015 წლებში იყო ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე. 1980-1985 წლებში მუშაობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს მთიანი რეგიონის შემსწავლელი კო-მისიის აჭარის ქვეკომისიის სწავლულ მდივნად, ხელმძღვანელობდა საქართველოს

საისტორიო საზოგადოების ბათუმის ორგანიზაციას.

1970-1980 წლებში საათობრივი ანაზღაურების წესით ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში, ხოლო 1998-2009 წლებში ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში ძირითად შტატში ლექციებს კითხულობდა შუა საუკუნეებისა და მსოფლიო ისტორიაში (ინსტიტუტი), საქართველოსა და ზოგად ეთნოგრაფიაში, ისტორიულ მხარეთმცოდნეობაში, ქართველი ხალხის მატერიალური და სულიერი კულტურის საკითხებზე. 2004 წელს არჩეული იქნა უნივერსიტეტის პროფესორად. 1990-იან წლებში ეთნოგრაფიის კურსი მიჰყავდა აჭარის (გონიოს) კოოპერაციულ ინსტიტუტში.

ნოდარ კახიძის სამეცნიერო კვლევა-ძიების სფეროა აჭარისა და სამხრეთ–დასავლეთ საქართველოს სხვა კუთხეების ყოფისა და კულტურის საკითხები. ამ საკითხებზე დღემდე გამოქვეყნებული აქვს 170 სამეცნიერო ნაშრომი. მათ შორის 4 მონოგრაფია („მაჭახლის ხეობა“ (1974); „ხელოსნობა აჭარაში“ (1990); „ხელოსნობა სამხრეთ–დასავლეთ საქართველოში“ (2004); „ეტრატზე ამეტყველებული ისტორია“ (2013). ამჟამად მუშაობს წიგნზე „მაჭახლის ხეობის ტოპონიმიკა“.

ნოდარ კახიძის რედაქტორობით მომზადდა და გამოიცა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევების ოთხტომეულის მეორე ტომი, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ეთნოლოგიის პრობლემების ექვსი ტომი, ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის შრომების X-XIV ტომები, ჟურნალ „მაჭახელის“ 8 ნომერი. მონაწილეობდა განყოფილების 19 კრებულის („სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ყოფა და კულტურა“) კრებულების მომზადებასა და გამოცემაში. მისი ხელმძღვანელობით ჩატარდა 25 ეთნოლოგიური ექსპედიცია აჭარასა და საქართველოს სხვა კუთხეებში (გურია, სამეგრელო, იმერეთი, სამცხე-ჯავახეთი) მომზადდა ორი საკანდიდატო დისერტაცია, სტუდენტთა ორმოცამდე საკურსო, ათი საკონფერენციო და რამდენიმე სამაგისტრო ნაშრომი.

ნოდარ კახიძემ 1967 წელს დაიცვა საკანდიდატო („მაჭახლის ხეობა“) და 2001 წელს სადოქტორო („ხელოსნობა სამხრეთ–დასავლეთ საქართველოში“) დისერტაციები, რომლებმაც დარგის სპეციალისტთა მაღალი შეფასებები დაიმსახურა.

ნოდარ კახიძე ხანგრძლივი ნაყოფიერი სამეცნიერო კვლევითი, პედაგოგიური და საზოგადოებრივი საქმიანობისთვის დაჯილდოებულია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის (1983 წელი), აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს (2000 წელი), აჭარის არ განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს (2009 წელი) საპატიო სიგელებით. ნაშრომისათვის „ხელოსნობა აჭარაში (ისტორიულ-ეთნოგრაფიული გამოკვლევა)“, რომელიც 1990 წელს დაიბეჭდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობაში, 1995 წელს მიენიჭა თედო სახოკიას პრემია. 2015 წელს დაჯილდოვდა ღირსების ორდენით.

ბატონი ნოდარ კახიძე 90 წლისაა...

ამ სიტყვების გაგონების შემდეგ მის ბიოგრაფიაში იხედები. იხედები და ამოწმებ, მომატებული გგონია ასაკი. არადა, ნამდვილად 1929 წელსაა დაბადებული...

იმდენად ახალგაზრდულად, მხნედ და შემართებით გამოიყურება, ისეთ აქტუალურ, საინტერესო და ღირებულ კვლევებს აქვეყნებს, რომ დაბეჯითებით შეგვიძლია ვთქვათ, წლები ვერაფერს აკლებს ბატონ ნოდარს...

გილოცავთ, ბატონო ნოდარ, უფალმა შეგაძლებინოთ კიდევ მრავალი წელი ღირსეულად ემსახუროთ ქვეყანას, მეცნიერებას, მშობლიურ ინსტიტუტს, სადაც 50 წელზე მეტია მოღვაწეობთ და ყოველთვის გხედავდეთ უნივერსიტეტში ჯანმრთელს, ხალისიანსა და კეთილად მომღიმარს!!!

ნათია წიკლაშვილი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში

UNESCO -ს მიერ დაგეგმილ „ღია მეცნიერების “ (Open Science) სტრატეგიის შემუშავებაში მონაწილეობა

მიმდინარე წლის 8 ნოემბერს UNESCO- ს შტაბბინაში გამართული მეცნიერის დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებაში, რომელიც რამდენიმე სლოგანის ქვეშ მიმდინარეობდა: „ღია მეცნიერება განვითარებისა და მომავლისათვის“, „არავინ დარჩეს მეცნიერებისა და სამეცნიერო კვლევის შედეგების გარეშე“ და „სამეცნიერო კვლევის შედეგები ფურცლებიდან პრაქტიკამდე“, მონაწილეობდა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიტოპათოლოგიისა და ბიომრავალფეროვნების ინსტიტუტის კოლხეთის ტორფნარებისა და წყლის ეკოსისტემების კონსერვაციის განყოფილების ხელმძღვანელი, ქალბატონი იზოლდა მაჭუტაძე, რომელიც გაზეთ „ბათუმის უნივერსიტეტს“ შეხვედრის დეტალებზე ესაუბრება.

„მეცნიერების, მშვიდობის და განვითარების მსოფლიო დღე, რომელიც UNESCO - მ 2001 წელს დააარსა, ყოველწლიურად აღინიშნება. მიუხედავად მსოფლიოში ბოლო წლებში მეცნიერებაში მიღწეული პროგრესისა, კვლავ დიდი გამოწვევების წინაშე დგას მსოფლიო, როგორიცაა გლობალური დათბობის შედეგად გამოწვეული კლიმატის ცვლილება, მასთან დაკავშირებული მრავალი დაავადებები და ეკოლოგიური კატასტროფები. ვიკიპედიაში განმარტების მიხედვით, ერთი მხრივ „ღია მეცნიერება“ არის მეცნიერება ფართო საზოგადოებისათვის, მეორე მხრივ მეცნიერებს შორის უნდა არსებობდეს ინფორმაციების გაცვლის ქსელი. ამიტომ, გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და

მეცნიერება და სამეცნიერო კვლევის შედეგები — არავინ დარჩეს ზურგს უკან

კულტურის ორგანიზაციამ - UNESCO-მ, გადაწყვეტილება მიიღო, შეიმუშაოს „ღია მეცნიერების“ სტრატეგია. UNESCO,როგორც მეცნიერების უდიდესი სახლი და შტაბბინა, გამოსავალს განსაკუთრებულ სამეცნიერო კვლევებსა და მის შედეგებში ხედავს. მისი მიზანია ფართო საზოგადოებაში მეცნიერების მნიშვნელოვანი როლის დამკვიდრება. იგი გულისხმობს ასევე საზოგადოების დებატებში ჩართვის აუცილებლობას. UNESCO-ს მთავარი და მნიშვნელოვანი მისია განათლება, სამეცნიერო კვლევებზე დაყრდნობით გამოვლენილი განსაკუთრებული მსოფლიო ბუნებრივ კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნება და დაცვაა მომავალი თაობებისთვის.

ინოვატორები, ინჟინრები, ტექნიკური დეველოპერები, როგორც კერძო, ასევე საზოგადოებრივი სექტორები, უფრო მეტად უნდა იყენებდნენ ღია მეცნიერების კონცეფციას, როგორც ინსტრუმენტს. ამიტომ აუცილებელია მეცნიერების, სამეცნიერო კვლევების სწორი მამართულება ამ მიზნით, საზოგადოების განვითარებისა და მომავლისათვის, მომავალი თაობებისთვის. აქედან გამომდინარე, ღია მეცნიერება კიდევ უფრო მეტად იძენს გლობალურ ხასიათს, რათა სამეცნიერო კვლევის შედეგები მისაწვდომი იყოს ყველასათვის და განსაკუთრებით კი პოლიტიკოსებისთვის.

სწორედ ამიტომ მოდელირებული დიალოგისათვის შჩ - ს შტაბბინამ მსოფლიოს ყველა წევრი ქვეყნიდან შეარჩია რამდენიმე ქვეყნის სხვადასხვა სფეროს მეცნიერები: სლოვენიიდან- მოლუკულური ბიოლოგიის პროფესორი, მონტენეგროდან- ფილოსოფოსი, იაპონიიდან- ტექნიკური ინჟინერიის პროფესორი, კოლუმბიიდან- მეცნიერო ხელოვანი, ომანიდან- საინფორმაციო სისტემების პროფესორი და საქართველოდან- ლანდშაფტების ეკოლოგი. კრიტერიუმები შერჩევისა ჩვენთვის უცნობია. ეს იყო პირველი ნაბიჯი ამ სტრატეგიის შემუშავებისა. იუნესკომ ორგანიზება გაუწია მოდელირებულ დიალოგს ჩვენსა და დამსწრე საზოგადოებას შორის, რომელთაც წარმოადგენდნენ იუნესკოს შტაბბინის სამეცნიერო განყოფილება, სხვადასხვა სფეროს მეცნიერები და რამდენიმე გადაწყვეტილების მიმღები პირი. თითოეულმა ვისაუბრეთ ჩვენი გამოცდილების შესახებ თუ როგორ მივიტანეთ ჩვენი სამეცნიერო კვლევის შედეგები პოლიტიკოსებამდე და როგორ გავასაჯაროვეთ ის. ეს ძალიან საინტერესო იყო. შემდეგ იუნესკოს მხრიდან დარბაზიდან დაისვა სხვადასხვა სახის შეკითხვები ღია მეცნიერებასთან, თანამედროვე გამოწვევებთან დაკავშირებით. ასევე მოისმინეს ჩვენი პირველი რეკომენდაციები ამ სტრატეგიასთან დაკავშირებით.

ღია მეცნიერება განვითარებისა და მომავლისათვის

გთავაზობთ იმ პირველ რეკომენდაციებს, რომელიც ჩემ მიერ იქნა გაკეთებული და რომლებიც გათვალისწინებული იქნება სტრატეგიის შემუშავების პროცესში. ამის შემდეგ თითოეულმა მივიღეთ ოფიციალური წერილი შჩ - დან, რომ ჩვენ უკვე ვართ ამ სტრატეგიის ნაწილი და უკვე დაიწყო მასზე მუშაობა.

1. აუცილებელია სტრატეგიაში - „ღია მეცნიერება” განისაზღვროს პრიორიტეტები და

კრიტერიუმები იმისა. თუ რომელი დარგის მეცნიერების სამეცნიერო კვლევის

შედეგები გახდეს ფართო საზოგადოებისთვის და პოლიტიკოსებისთვის

ხელმისაწვდომი. არ შეიძლება ყველა შედეგის ხელმისაწვდომობა (მაგ.

რაც შეეხება საინფორმაციო სისტემებს, მომრავლებული ჰაკერების გამო);.

2. აუცილებლია საზოგადოებისათვის გასაგებ ენაზე სამეცნიერო კვლევის შედეგების, მიღწევების მიწოდება. ამ მხრივ განსაკუთრებულია მედიის ჩართულობა, პუბლიკაციები, ტრენინგები;

3. პრიორიტეტი კლიმატის ცვლილების შემარბილებელ სამეცნიერო კვლევებს უნდა მიენიჭოს;

4. კვლევები წარიმართოს ეკოლოგიური, ეკონომიკური, მოსახლეობის სოციალური პირობების გაუმჯობესების, ჯანდაცვის, და კლიმატის ცვლილების შემარბილებელი კუთხით, ასევე ინტეგრირებული პროექტების განხორციელება;

5. რაც შეიძლება მეტი აქტივობები ცნობიერების ამაღლების მიზნით,

და საერთოდ ყველაფერი მომავალი თაობების საკეთილდღეოდ.

1999 წელს გერმანიის გრეიფსვალდის უნივერსიტეტის მეცნიერებთან ერთობლივი კვლევებისა და განსაკუთრებული სამეცნიერო შედეგების მიხედვით დადასტურდა, რომ კოლხეთი არის დედა მსოფლიოს პირველი პერკოლაციური ტიპის ტორფნარებისა. ამაში ხელი შეუწყო კოლხეთის დაბლობის განსაკუთრებულმა გეოლოგიურმა წარსულმა და აქ ჩამოყალიბებულმა ასევე განსაკუთრებულმა კოლხეთის თბილმა და რბილმა კლიმატმა. პირველი კვლევები ქობულეთის ისპანის ტორფნარებზე განხორციელდა . ეს იყო 1999 წლის აპრილი. ჩვენი კვლევებით დაინტერესდა მედია, გაკეთდა ტელესიუჟეტი. მას მოყვა

სამეცნიერო კვლევის შედეგები ფურცლებიდან პრაქტიკამდე

პუბლიკაციები, პატარა პროექტები ცნობიერების ამაღლების მიზნით. 2002 წელს პირველად ვაცნობეთ შჩ-ს კოლხეთის პერკოლაციური ტორფნარების არსებობის შესახებ, როგორც მსოფლიო ბუნებრივი მემკვიდრეობის უბნისა. კვლევები გრძელდებოდა და 2005 წელს იმნათის ტორფნარი იგივე პერკოლაციური ტიპისა აღმოჩნდა. ასეთივე სტადიაზეა კოლხეთის დაბლობის თითქმის ყველა ტორფნარი. ეს ყველაფერი კი გახდა მიზეზი იმისა რომ მომზადებულიყო სამეცნიერო დოსიე შჩ-სთვის „კოლხეთის ტყეები და ჭარბტენიანები“, როგორც მსოფლიო ბუნებრივი მემკვიდრეობის უბანი. ჩვენმა კვლევებმა კოლხეთის ტორფნარებზე ნომინაცია ძლიერი გახადა. დღეისათვის დოსიე განხილვის ეტაპზეა და მომავალი წლის მაისის თვისათვის გახდება ცნობილი მოგვანიჭებს თუ არა შჩ ბუნების დაცვაში არსებულ ყველაზე დიდ ჯილდოს.

კოლხეთის ფლორა უძველესია, რელიქტურია, გამყინვარების დროინდელია, კაინოზოური დინოზავრების ეპოქისაა. რელიქტურია თვით ტორფნარებიც და ტყეებიც. ბუნების დაცვის საერთაშორისო კავშირში Iჩ-ში მრავალ სახეობას მივანიჭეთ გლობალური სტატუსი. მათ შორისაა, 2015 წელს ჩვენი ჩართულობით ამავე ორგანიზაციამ გლობალური სტატუსი მოანიჭა ბუნებრივ მტკნარწყლიან ტბებს, ისეთებს, როგორებიცაა: ჭოროხის შესართავის მარცხენა სანაპიროზე არსებული ტბორები. ამ სახეობებს და ჰაბიტატს იცავს ზურმუხტის ქსელი. შევადგინეთ რუკა და მონაცემთა ბაზა არსებობს ეკოტურიზმისათვის...

დღეისათვის ვმუშაობ ლანდშაფტების ეკოლოგიის უცხოენოვან სამაგისტრო პროგრამის შედგენაზე, რომელიც ინტეგრირებული სახის იქნება ბიოლოგების, ეკოლოგების, გეოგრაფების, ეკოტურიზმის, არქეოლოგების მიმართულებით სტუდენტებისათვის. სადაც პრიორიტეტი საველე კვლევები და გეოინფორმაციული სისტემები იქნება. იგი გულისხმობს ლანდშაფტის ეკოლოგიის მოდელის შექმნას. ეკოსისტემის ისეთი მოდელის შექმნას სადაც ნათლად ჩანს ის, თუ როგორ ფუნქციონირებს მთლიანი ეკოსისტემა როგორც ჩვენი ორგანიზმი. გამოხატულია ეკოსისტემური სერვისები როგორიცაა: მომმარაგებელი, მარეგულირებელი, ჰაბიტატის და კულტურული. ეს მოდელი ნათლად დაანახებს ინვესტორს, გადაწყვეტილების მიმღებ პირს თუ რა ბიზნესი უნდა განავითაროს კოლხეთის დაბლობზე, რათა ზარალი არ მიიღოს, რა დონეზე შეიძლება ეკოსისტემას მიაყენოს ზიანი და უნდა იზრუნოს აღდგენაზე.

სამეცნიერო კვლევების სამსახურის სახელით, სიყვარულითა და საუკეთესო სურვილებით ვულოცავ დამდეგ შობის დღესასწაულსა და 2020 წლის შემობრძანებას სტუდენტებს, ადმინისტრაციას, სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტების მეცნიერ-თანამშრომლებს, პროფესორ-მასწავლებლებს, დამხმარე სტრუქტურული ერთეულების წარმომადგენლებს!

სამეცნიერო მიღწევებითა და ინოვაციური პროექტებით აღსანიშნავი ყოფილიყოს ეს წელი, უნივერსიტეტის წარმატების საწინდრად.

დაე სიმშვიდემ, სიყვარულმა, სიხარულმა და ბედნიერებამ დაისადგუროს ყველასთან!..

თამარ მაჭუტაძე,
სამეცნიერო კვლევების სამსახურის უფროსი

დამდეგ შობა-ახალ წელს ვულოცავ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის თანამშრომლებს - ადმინისტრაციას, აკადემიურ პერსონალს, მასწავლებლებს, სტუდენტებს. ვუსურვებ მათ ჯანმრთელობას, პროფესიულ წინსვლასა და სურვილების ასრულებას, 2020 წელი ყოფილიყოს ბედნიერების მომტანი.

ჩვენი უნივერსიტეტი თავისი განვითარების მნიშვნელოვან ეტაპზე დგას. შესაბამისად, დიდია მის წინაშე წაყენებული მოთხოვნებიც. ტექნოლოგიური ფაკულტეტი აქტიურად არის ჩართული ასეთი მოთხოვნების დაძლევაში, რაც გამოიხატება თანამედროვე სამეცნიერო და ინოვაციურ ცოდნაზე დაფუძნებული ბაკალავრების, მაგისტრებისა და დოქტორების მომზადებით. ეს მათ დაეხმარებათ ღირსეული ადგილი დაიკავონ თანამედროვე ქართულ და საერთაშორისო საზოგადოებაში, პროფესორებს კი თვითგანვითარების უფრო მაღალ საფეხურზე ასვლაში.

მსურს, რომ 2020 წელს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი იყოს უფრო წარმატებული, დაიკავოს მოწინავე ადგილი როგორც ჩვენი ქვეყნის, ისე უცხოეთის უნივერსიტეტებს შორის.

პატივისცემით, ბსუ-ს საინჟინრო-ტექნოლოგიური ფაკულტეტის
დეკანი, პროფესორი გიზო ფარცხალაძე

ბსუ-ში ლიტერატურული კლუბი დაარსდა

ლიტერატურული კლუბის შექმნის იდეა სტუდენტობის პირველივე წლიდან მქონდა, თუმცა ამ იდეის განხორციელებას შესაბამისი დრო და რესურსები სჭირდება. ამ სასწავლო წელს შევნიშნეთ, რომ განსაკუთრებით დიდია სტუდენტებში ლიტერატურისადმი ინტერესი. შესაბამისად, მიმდინარე წლის ოქტომბრიდან უნივერსიტეტის კარიერული განვითარების სამსახურმა წევრებზე მიღება გამოაცხადა, კლუბის ხელმძღვანელად კი მე გამოვცხადდი.

დღეისთვის კლუბში სხვადასხვა სპეციალობის 30-მდე სტუდენტია გაწევრიანებული. მათი მნიშვნელოვანი ნაწილი პირველკურსელია. ჩვენი შეხვედრები მოიცავს ორ ნაწილს: პირველ ნაწილში ვკითხულობთ და განვიხილავთ მოკლე მოთხრობებს (ნოველებს), ხოლო მეორე ნაწილი მოიცავს კლუბის წევრების შემოქმედების წარდგენას. აგრეთვე, ყოველ შეხვედრაზე ვატარებთ ინდივიდუალურ და ჯგუფურ ლიტერატურულ აქტივობებს.

ჩვენი საქმიანობის მცირე პერიოდის მიუხედავად, მოვახერხეთ დაგვეგეგმა შეხვედრა პოეტ ვახტანგ ჯავახაძესთან თბილისში, მის საცხოვრებელ სახლში. ღონისძიებაში კლუბის 10 წევრი მონაწილეობდა. შეხვედრასთან დაკავშირებული ყველა ხარჯი უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ უზრუნველყო. მოხარული ვარ, რომ უნივერსიტეტი გვერდით გვიდგას ამ სასარგებლო და საკეთილდღეო საქმეში.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ წევრების უმრავლესობა შემოქმედებით საქმიანობას ეწევა, ისინი ჩართული არიან სხვადასხვა სტუდენტურ ღონისძიებაში და აქტივობაში. ვფიქრობ, მე და თითოეული მათგანი კლუბის შეხვედრებზე სიამოვნებასთან ერთად უმნიშვნელოვანეს ცოდნასა და გამოცდილებას ვიღებთ.

აი, როგორ იხსენებენ პოეტთან შეხვედრას ჩვენი კლუბის წევრები:

ანა ფუტკარაძე: „ვახტანგ ჯავახაძესთან ჩვენი შეხვედრის დროს განცდილი შეგრძნებები დღემდე მომყვება, სიმშვიდე და ნერვიულობა იმდენად სწრაფად ენაცვლებოდა ერთმანეთს, გააზრებაც კი მიჭირდა. ვცდილობდი, ყველა სიტყვა და ამბავი დამემახსოვრებინა, რომ შემდეგ თავიდან ამეწყო თანმიმდევრულად მთელი ამბავი. ეს იყო ემოციების გაცვლა-გაზიარება, საოცარი რამდენიმე საათი, რომელიც არასდროს წაიშლება ჩემი მეხსიერებიდან“.

სოფო ზოიძე: „შეუძლებელია იყო “ბსუ-ს ლიტერატურის მოყვარულთა კლუბის” წევრი და არ იმყოფებოდე გარკვეული შთაბეჭდილებების ქვეშ. ჩემთვის, როგორც რიგითი სტუდენტისთვის, ლიტ. კლუბში ყოფნა დიდი გამოწვევაა. ჩვენმა კლუბმა იმდენად დიდი სიამოვნება, ცოდნა და გამოცდილება შემძინა, რომ თამამად შემიძლია ვთქვა, ჩვენს დიდ “ოჯახში” გატარებული დრო ჩემს ცხოვრებაში ყველაზე სასარგებლო, სამაგალითო, დასაფიქრებელი და ამავდროულად დასამახსოვრებელია. დარწმუნებული ვარ, ერთად კიდევ უფრო დიდ ნაბიჯებს გადავდგამთ წარმატებისკენ“.

ლიტერატურული კლუბის წევრები ერთობლივად ბევრ საინტერესო დღეს ვგეგმავთ.

ორი სიმორე

მე და შენ მხოლოდ გვაკავშირებს სიშორე ორი,
შენი ხორცი და შენი სული ცხრა მთის გადაღმა
ცხოვრობს და დავრჩი სიშორეს და სიშორეს შორის,
ჩარჩოში მცხოვრებ პორტრეტივით, ბედის თანახმად.
მორჩილად ვუცქერ ყოველღამე მინავლულ მთვარეს,
რომ ერთხელ მომწვდეს შენი ტკბილი მზერა პეშვებით,
ვამბობ, რომ მორჩეს ის წუთები, რაც წყალში ვყარე
შენზე ფიქრით, თუმც მეორე წუთს თავით ვეშვები.
ვყვინთავ, ვაგორებ ბედის ბორბალს კეთილი სიზმრის
ლოდინში, თორემ სიზმარგარეთ მოკვდა იმედი.
მორთავ ფერებით ჩემს ბნელ წყვდიადს, მე კი არ ვიძვრი
ადგილიდან, რომ ღვიძილისთვის არ გამიმეტო.
მერე ვიღვიძებ სიშორეს და სიშორეს შორის,
სიზმრის ნაკვალევს გულმოდგინედ შლის დილის თქორი.

ხე

რატომ, რა მიზეზით გარიყე
სახლთან, შენს ეზოში მდგარი ხე,
ნუთუ არ სჭირდება ჭას ჩრდილი,
კუნძი ჭის ქვევით დგას ჩაჭრილი.
რატომ, რა მიზეზით გარიყე,
დამწვარ ბალახზე წევს მკვდარი ხე,
შენთან აღარც ერთი ჩრდილია,
ცას ვერ ემალები დილიანს,
შენთან ჭის წყალიც კი თბილია,
რატომ რა მიზეზით გარიყე
სახლთან, შენს ეზოში მდგარი ხე,
მალე ალბათ სახლსაც გარიყავ,
მისი მასალა რომ არის ხე,
გამო ერთი თბილი კოცონის
სახლის დამტვრეულ ძვლებს მოწონი,
მზე კი აანცეცხლებს სახლი-კარს,
ქარი ხის ნაფოტებს ახიკავს.
რატომ, რა მიზეზით გარიყე,
სახლთან, შენს ეზოში მდგარი ხე...

მირიან გიორგაძე, ბიზნეს ინფორმატიკის სამაგისტრო სპეციალობის მეორე კურსის სტუდენტი

სხვაობა

იზრდება მიზიდულობა თითებსა და ფინჯან ჩაის შორის.

თითს ვაჭერ კოვზს, ბევრჯერ რომ მოურევია და აურევია შაქარი და მდუღარე წყალი ერთმანეთში და ვამწყვდევ უკუთხო, გამჭვირვალე, უცნობ კოორდინატზე.

ერთი გრადუსით უფრო ცხელია გუშინდელზე.

ერთი წვეთით უფრო მეტია გუშინწინდელზე.

ერთი კოვზით მეტია შაქარი გასულ წელთან შედარებით.

ერთი ფინჯანი ჩაით მეტი ვარ საკუთარ თავზე, ბრძოლაგამოვლილ გამოუცდელზე და შენზე.

დიანა ნაკაიძე, ინგლისური ფილოლოგიის პირველი კურსის სტუდენტი

ძვირფასო მეგობრებო! ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ილია ჭავჭავაძის სახელობის ბიბლიოთეკის სახელით გილოცავთ 2020 წელს და ქრისტეშობის ბრწყინვალე დღესასწაულს. ეს ახალი წელი ყოფილიყოს ჩვენი ქვეყნისა და სრულიად მსოფლიოსთვის მშვიდობის, სტაბილურობის, გაერთიანების, თითოეული ჩვენგანის ოჯახისთვის სითბოსა და სიყვარულის მომტანი. შესაბამისად, გისურვებთ ჯანმრთელობას, სიკეთეს, სიხარულს, სიყვარულს, დღეგრძელობას, ახალ-ახალ წარმატებებს პირად და საზოგადოებრივ საქმიანობაში. მრავალჟამიერ!

ტარიელ ებრალიძე, ბსუ-ს ილია ჭავჭავაძის სახელობის ბიბლიოთეკის დირექტორი

ფრჩხილიც ნუ წამოგტკენიათ

ახალი წელი ძველ საქართველოში სხვადასხვა დროს იწყებოდა. ქრისტიანობამდე ჩვენში ახალ წელს ზეიმობდნენ 6 აგვისტოს და ეს გრძელდებოდა ახალი წელთაღრიცხვის VII საუკუნემდე; ამ დროიდან IX საუკუნემდე სექტემბრის წელიწადს დღესასწაულობდნენ; შემდეგ, X საუკუნის ნახევრამდე, დამკვიდრდა მარტის წელიწადი, რომელიც თანდათან შეცვლა იანვრის წელიწადმა, რომელმაც XIV საუკუნიდან მყარად მოიკიდა ფეხი.

ქართული საახალწლო-საწესჩვეულებო ცერემონიალი ოდითგან მრავალფეროვნებით გამოირჩევა; წარმართულ-ქრისტიანულ კონფესიათათვის დამახასიათებელი ატრიბუტიკის გარდა, ახალ წელს მშრომელთათვის აგრარულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულებაც ჰქონდა; მას უკავშირდებოდა უკეთესი მომავლის, ხვავისა და ბარაქის, ჯანმრთელობისა და სიცოცხლის ხანგრძლივობის იმედი.

საახალწლო რიტუალური კვერების — “კაც-ბასილების” ცხობასთან ერთად, ჩვენი წინაპრები ამზადებდნენ ჩიჩილაკს, რომელიც წმინდა ბასილის წვერებს განასახიერებდა, ხოლო მისი სამშვენისები — პროფილაქტიკური და პროდუქტიული მაგიის გამოხატულება იყო.

ახალი წლის ღამეს კერიაში ჩაუქრობელი ცეცხლი და იქიდან ამოტყორცნილ ნაპერწკალთა სიმრავლე დოვლათიანობის სიმბოლოდ ითვლებოდა. თოფის სროლით ძველი წელიწადის გაცილება და ახლის შეხვედრა ტრადიციულად პროფილაქტიკური მაგიური ცერემონიალის აუცილებელი შემადგენელი ნაწილი იყო.

ახალი წლის რიტუალის უმთავრესი ფიგურაა მეკვლე, რომელიც ხონჩით ხელში შემოდის ოჯახში და ილოცება:

შემოვდგი ფეხი, გწყალობდეთ ღმერთი,
ფეხი — ჩემი, კვალი — ანგელოზისა!

ტრადიციულად თითო ოჯახს ორი მეკვლე ჰყავდა: ერთი ოჯახის წევრი იყო, რომელსაც “კარგი ფეხი” ჰქონდა, მეორე — ასევე “კარგი ფეხის” მქონე გარეშე პირი იყო.

საახალწლო ხონჩაზე ეწყო ნაირგვარი საჭმელი, წმინდა ბასილის (“კაც-ბასილა”), მზისა და სამეურნეო იარაღების ფიგურული ნამცხვრები, ტკბილეულობა და ყოველგვარი ნუგბარი, ხორბალი, სიმინდი (ზოგადად მარცვლეული), რაც მომავალი მოსავლიანობის სიმბოლო იყო.

საქართველოში მეკვლის დალოცვას ყოველთვის ძალზე დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა, მას “დაბედების” ძალას მიაწერდნენ. მეკვლე ლოცავდა ქვეყანას, მსობელ ხალხს, კონკეტულ მასპინძელს... საახალწლო ლექს-სიმღერების ძირითადი პათოსიც სწორედ მეკვლის დალოცვა-სადღეგრძელოებში მჟღავნდება.

ახალ, 2020 წელს მეც ტრადიციული ქართული საახალწლო პათოსით მინდა დავლოცო:

ჩვენი მრავალჭირგამოვლილი ქვეყანა, ვისურვო სიმშვიდე, აღმშენებლობა, ურთიერთსიყვარული და, რაც მთავარია, ფიზიკური და სულიერი გამთლიანება!

ვლოცავ ჩვენს მშობლიურ უნივერსიტეტს, კოლეგებს, სტუდენტებს, ვისთვისაც ძვირფასია ზღვის პირას შუქურასავით აღმართული ჩვენი დიდებული ცოდნის ტაძარი!

ამ ახალ წელსაც კვლავ მშობლიური ფოლკლორული წიაღიდან მოხმობილი სტრიქონებით მინდა მოგმართოთ:

გილოცავთ ახალ წელიწადს,
ღმერთმა გიმართოთ ხელია!
ათას წელიწადს იცოცხლეთ,
მოგცეთ ადამის დღენია!
გწყალობდეთ წმინდა მარიამ,
ფრჩხილიც ნუ წამოგტკენიათ!
ყველკანამც გაგიმარჯვდებისთ,
არ მაგერიოსთ მტერია!..

თინა შიოშვილი, პროფესორი

განხორციელებული პროექტები და მიღწეული წარმატებები

სკოლაში სწავლის პერიოდში მათემატიკა ჩემთვის ყველაზე საინტერესო და სახალისო დისციპლინა იყო, ძალიან მიყვარდა ქართული ენა და ლიტერატურაც, ბევრს ვკითხულობდი და ვწერდი - ჩანახატებს, საგაზეთო სტატიებს, ლექსებს. ჩემში განსაკუთრებულ ყურადღებას ცოცხალი სამყარო, ადამიანი და მისი შეცნობის სურვილი იქცევდა. მაღალ კლასებში, ჩემი დიდი დაინტერესება ქიმიურმა ექსპერიმენტებმა გამოიწვია. ბევრიც აღარ მიფიქრია, მაშინდელ შოთა რუსთაველის სახელობის ბათუმის პედაგოგიურ ინსტიტუტში ქიმია-ბიოლოგიის სპეციალობით ჩავაბარე და წარმატებით დავამთავრე. დღემდე ჩემს მშობლიურ უნივერსიტეტში ვმოღვაწეობ.

გაზეთ „ბათუმის უნივერსიტეტის“ სტუმარია საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის პროფესორი, ქალბატონი გუგული დუმბაძე. მას არაერთ საერთაშორისო პროექტებში მიუღია მონაწილეობა და ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სახელი ღირსეულად წარმოუჩენია. გთავაზობთ მასთან დიალოგს, რომელშიც თანამედროვე ეკოლოგიურ გამოწვევებზეა საუბარი.

თანამედროვე ეკოლოგიური მდგომარეობა...

მე-19-ე საუკუნის მეორე ნახევრიდან, კერძოდ, ინდუსტრიალიზაციის ეპოქიდან დღემდე, დედამიწაზე ადამიანის ზემოქმედების „კვალი“ მართლაც გაიზარდა. თუმცა, მაშინ არავინ უწყოდა, თუ ამ შედეგებამდე მივიდოდით. მიჩნეული იყო, რომ ადამიანის ზემოქმედების შედეგებს გარემო თავად დაარეგულირებდა. თუმცა ნათელია, თუ თითოეული ჩვენგანი არ გავაცნობიერებთ პრობლემის სიმძიმეს, მომავალ თაობებს არსებობის რეალური საფრთხე შეექმნება. პრობლემა გლობალურია და მას მზარდი ხასიათი აქვს...

საფრთხეები და გამოწვევები...

კლიმატის ცვლილება და გლობალური დათბობა ატმოსფეროში სათბურის აირების მატებითაა გამოწვეული. მისი შედეგები საქართველოშიც სახეზეა. ტემპერატურის მატება, სეზონურობის დაკარგვა, სანაპირო ზოლის პრობლემები, შტორმული მოვლენების გაძლიერება, ეროზიები, ნალექების რაოდენობის მატება, მყინვარების დნობა, ეკოსისტემების ქრობა, სხვადასხვა ინვაზიური სახეობების შემოჭრა თუ სხვა. ამას ემატება საკვების, ატმოსფერული ჰაერის, ნიადაგის, ზედაპირული თუ მიწისქვეშა წყლების დაბინძურება, ნარჩენების მენეჯმენტის პრობლემა.... საუბარი შორს წაგვიყვანს. ერთს დავძენ, ინგლისელი მეცნიერი ბოტონი ამბობს: „თუ ადამიანი არ მოიქცევა ისე, რომ დედამიწაზე იყოს ნაკლები კვამლი, მაშინ კვამლი გააკეთებს იმას, რომ დედამიწაზე იყოს ნაკლები ადამიანი“.

სამეცნიერო აქტივობები და კვლევის მიმართულებები...

ჩემი სამეცნიერო საქმიანობა გარემოს მდგომარეობის, მისი ხარისხის კვლევას უკავშირდება. სამწუხაროდ, ეკოლოგიის მიმართულებებით უნივერსიტეტში ჯერ-ჯერობით არ გაგვაჩნია ლაბორატორიული კვლევითი ბაზა, რის გამოც, იძულებული ვართ, დახმარება ვთხოვოთ საქართველოში, კერძოდ, ბათუმში არსებულ ლაბორატორიულ კვლევით ცენტრებს. მეტად საინტერესო შემოთავაზებებია საქართველოს უახლოესი მეზობელი უცხო ქვეყნის, თურქეთის სხვადასხვა (ართვინის ჭოროხის, რეჯებ ტაიპ ერდოღანის რიზეს, ტრაბზონის შავი ზღვის ტექნიკური, 19 მაისის სამსუნის) უნივერსიტეტებიდან. ჩვენი გარემო საერთოა და მიმაჩნია, რომ ამ მიმართულებით ერთობლივი კვლევები აუცილებელია. მავნებელ-დაავადებათა გავრცელების უამრავი ფაქტი არსებობს: ნაბლის ე. წ. „კიბოს“ გამომწვევი, ბოლო პერიოდში გავრცელებული იაპონური ჭიჭინობელა, აზიური ფაროსანა თუ სხვა. ამ სამივე მავნებელ-დაავადების მიმართ გვაქვს კვლევები ართვინის ჭოროხის უნივერსიტეტის მეცნიერებთან.

სამეცნიერო პროექტების შესახებ...

მიმდინარე წელს მეტად მნიშვნელოვანი იყო ევროკომისიის მიერ 3 მილიონ 32 000 ევროთი დაფინანსებული ღშშ შ-ის პროექტი, კერძოდ, ერთობლივი საერთაშორისო სამაგისტრო პროგრამა ნიადაგმცოდნეობის მიმართულებით. ამ პროექტში საქართველოდან ჩართულია მხოლოდ ჩვენი უნივერსიტეტი და მე გახლავართ საკონტაქტო პირი. ამ პროექტში ჩვენი მონაწილეობით, ბათუმის უნივერსიტეტი, თავისი ისტორიის მანძილზე, პირველად ჩაერთო ერთობლივ საერთაშორისო სამაგისტრო პროგრამაში, როგორც ასოცირებული პარტნიორი. მიმდინარე წლის ოქტომბრიდან ეს პროგრამა უკვე დაფიქსირებულია ერთობლივ საერთაშორისო პროგრამათა კატალოგში და საქართველოს ნებისმიერ მოქალაქეს, კონკურსში გამარჯვების შემთხვევაში, შეუძლია მაგისტრატურის კურსი ნიადაგმცოდნეობის მიმართულებით, გაიაროს ოთხი სხვადასხვა ქვეყნის უმაღლეს სასწავლებელში - თურქეთში, პოლონეთში, ბულგარეთსა და იორდანიაში. ასევე, ამ პროგრამის გამარჯვებულ, უცხოეთის ნებისმიერი ქვეყნის მოქალაქეს, შეუძლია სამაგისტრო ნაშრომის შესრულებისას, პრაქტიკის ნაწილი გაიაროს საქართველოში.

ამ ჩართულობის საფუძველი გახდა, ერთობლივი საერთაშორისო სამეცნიერო კვლევები თურქეთის სხვადასხვა უნივერსიტეტებთან, ნიადაგის ეკოლოგიური პრობლემების მიმართულებით. მიმდინარე წლის აგვისტოში დასრულდა 19 მაისის (სამსუნისა) და ჩვენი უნივერსიტეტის ერთობლივი საერთაშორისო სამეცნიერო პროექტი - „საქართველოში თხილის კულტურებით დაკავებული ნიადაგების ეკოლოგიური პრობლემები და მისი გავლენა თხილის მცენარის მოსავლიანობასა და ნაყოფის ხარისხზე“ , რომლის ხელმძღვანელიც საქართველოდან თავად გახლდით. ასევე გვაქვს სხვა მცირე პროექტებიც სუბტროპიკული კულტურების კვლევის მიმართულებით.

გამოსვლები სამეცნიერო ფორუმებზე...

უკვე ორი წელია, გახლავართ თურქეთში სამეცნიერო-ტექნოლოგიური (SET Tecnology) ჯგუფის წევრი, რომლის ფარგლებშიც ხშირად ვარ სიმპოზიუმების საორგანიზაციო და სამეცნიერო კომიტეტების შემადგენლობაში, ასევე, თურქეთის სხვადასხვა ქალაქში - ართვინში, ტრაბზონში, მარაშში, სამსუნში და სხვა, გამართული სიმპოზიუმების მთავარი მომხსენებელი; სიმპოზიუმების კრებულების, ჟურნალების თუ წიგნის რედაქტორი, რეცენზენტი და სხვა. ვცდილობ, ხელი შევუწყო ჩვენი და ასევე, სხვა ქართული უნივერსიტეტების ცნობადობის გაზრდას ამ მიმართულებით. ამასთან ერთად, ჩვენს კვლევებსა და მათ პრეზენტაციებში ჩართულია როგორც პროფესურა, ასევე ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის საფეხურის სტუდენტები. ვფიქრობ, საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმებში მათი მონაწილეობის ადაპტაციის თვალთახედვით, ეს კარგი პრაქტიკაა.

გვაქვს გარკვეული გეგმები პოლონეთის კროსნოს უნივერსიტეტთან, სადაც მიმდინარე წელს ღშშ+ აკადემიური პერსონალის გაცვლითი პროგრამით ვიმყოფებოდი, ასევე, რუმინეთის და სხვა უნივერსიტეტებთან, თუმცა ჯერ-ჯერობით გადაწყვეტილი არაფერია.

... გვაქვს დაგეგმილი ახალი პროექტები, კვლევები, როგორც ჩვენი, ასევე, საქართველოს სხვა უნივერსიტეტების მონაწილეობით. გარდა ამისა, მომავალი წლის გაზაფხულზე ვგეგმავთ ერთობლივი საერთაშორისო კონფერენციის ჩატარებას ბათუმში. ყველაფერს დრო გვიჩვენებს.

საახალწლო განწყობა და სურვილი...

„ვიდრე ცოცხლები ვართ, ერთმანეთს ხელი უნდა შევაშველოთ“, სიხარული და სიკეთე, ბედნიერი წუთები ვაჩუქოთ ადამიანებს. ჩემთვის ყველაზე ამაღლვებელია, როცა გაკეთებული სიკეთით სხვის სახეზე ბედნიერებას ვხედავ.

დამდეგ ახალ წელს ვულოცავ ჩვენს სტუდენტებს, აკადემიურ თუ ტექნიკურ პერსონალს, ყველა ქართველს, მთელ საქართველოს. ახალი წარმატებების, სიხარულის, ბედნიერების, სიკეთის წელი დამდგარიყოს!

გილოცავთ დამდეგ ახალ წელს. დაე, ამ ახალ წელს უხვად ეწილადებინოს ყველასათვის სიკეთე, სათნოება, უსაზღვროდ დიდი სიყვარული, სიმშვიდე, სისპეტაკე. მზიან-ღიმილიანი ყოველდღიურობით აგვსებოდეთ გულები. სიხარული და ღიმილი, ბევრი ღიმილი მიმოფანტულიყოს ირგვლივ. ილია ჭაჭავაძის სიტყვებს მოვიშველიებ: „ერთმანეთს ერთმანეთით გულები გავუგულადოთ და ამისთვის ღონე ღონეს გადავაბათ, მხარი მხარს მივცეთ, ერთმანეთს სიყვარული ვამოციქულოთ და ამ წინდებულს ახალ წელიწადს იმას ვაქმნევინებთ, რაც ჩვენ გვინდა და არა იმას, რაც მასა ჰსურს. ვიმხნეოთ ერთად-ერთის გულით, ერთმანეთის ნდობით. ვინც მხნეა, ის ძლიერია. მაშ, „მხნე იყავ და განძლიერდი“. აი, ესაა ჩვენი საახალწლო მილოცვაც, ჩვენი საახალწლო ნატვრაც. დიახ, სიყვარული იყოს მოციქული ადამიანებს შორის. უფლის კალთა ფარავდეს ჩვენს ქვეყანას, უფლის, ყველა წმინდანის ლოცვის ძალა და მადლი - თითოეულ ჩვენგანს. მრავალჟამიერ.

ელზა ფუტკარაძე, ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი

სულ რამდენიმე დღე და ჩვენი ქალაქის, კუთხისა და ქვეყნის საამაყო ცოდნის ტაძარი, რეგიონში ერთ-ერთი პრესტიჟული და რეიტინგული საგანმანათლებლო დაწესებულება, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, პედაგოგიურ-სამეცნიერო და ეროვნულ-სახელმწიფოებრივ საქმიანობაში მიღწეული წარმატებებით ხელდამშვენებული შეხვდება საიუბილეო 2020 წელს.

გულითადად ვულოცავ დამდეგ შობას და ახალ, დაარსებიდან 85-ე წელს ჩვენს უნივერსიტეტს, მის სტუდენტ-ახალგაზრდობას, პროფესორ-მასწავლებლებს, უნივერსიტეტის თითოეულ თანამშრომელსა და სრულიად საქართველოს! 2020 წელი უფრო მეტი წარმატების, წინსვლისა და ბედნიერების მომტანი ყოფილიყოს თითოეული თქვენგანისა და უნივერსიტეტისთვის ჩვენი სამშობლოს გასახარად და სადიდებლად!

დავით ცეცხლაძე, ასოცირებული პროფესორი

გაცვლით პროგრამებში მონაწილე

მე ვარ ბექა სარჯველაძე. ვსწავლობ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე, ბიზნეს ადმინისტრირების სპეციალობაზე. ვარ მეოთხე კურსის სტუდენტი.

უნივერსიტეტის გარდა, მაქსიმალურად ვცდილობ მონაწილეობა მივიღო სხვადასხვა საგანმანათლებლო პროექტებში. უკანასკნელი პერიოდის განმავლობაში, ჩემი ყველაზე დიდი წარმატება უკავშირდება Erasmus+ Credit Mobility გაცვლით პროგრამას, რომლის დროსაც ერთი სემესტრის განმავლობაში (09.02.2019-06.07.2019) ვსწავლობდი კრაკოვის ეკონომიკის უნივერსიტეტში, რის გამოც ძალიან დიდი მადლობელი ვარ ბსუ-სი, რომ მომცა ეს ძალიან კარგი შანსი. როდესაც მივიღე თანხმობა უნივერსიტეტისგან, სიხარულისგან მეცხრე ცაზე ვიყავი, დავიწყე ნელ-ნელა საბუთების მომზადება და 9 თებერვალს გავემგზავრე კრაკოვში, პოლონეთში. ჩემი ცხოვრება რადიკალურად შეიცვალა ამ 5 თვის განმავლობაში. კრაკოვის ეკონომიკის უნივერსიტეტში მივიღე დიდი ცოდნა და გამოცდილება საკუთარ პროფესიასთან მიმართებაში; ვსწავლობდი ისეთ საგნებს, როგორიცაა: საერთაშორისო მარკეტინგი, ფინანსური ანალიზი, საერთაშორისო მარკეტის ანალიზი, გლობალური ბანკინგი და სხვ. ყველაზე მნიშვნელოვანი, რაც კრაკოვის უნივერსიტეტში დავინახე, იყო ის, რომ საგნები ძირითადად ორიენტირებულია პრაქტიკულ სამუშაოებზე, თეორიაზე ნაკლებად და ამ დროის განმავლობაში ბევრი პროექტი, პრეზენტაცია, კვლევა და რეპორტი გავაკეთე სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით. სამუშაო ენა, რა თქმა უნდა, იყო ინგლისური და ამ მხრივ ჩემი ინგლისურის ცოდნა გაიზარდა. გარდა იმისა, რომ ვსწავლობდი ევროპულ უნივერსიტეტში და მივიღე ევროპული განათლება, შევიძინე უამრავი კარგი მეგობარი (პოლონეთიდან, საბერძნეთიდან, იტალიიდან, სერბეთიდან, გერმანიიდან და სხვ.), რაც ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანია, რომლებთან ერთადაც ერთ დიდ ოჯახად ჩამოვყალიბდით და მათთან ერთად გატარებული თითოეული დღე ჩემს გონებაში მხოლოდ დადებით ემოციებს უკავშირდება. დარწმუნებული ვარ, ურთიერთობები მთელი ცხოვრების განმავლობაში შენარჩუნდება. ასევე მნიშვნელოვანი ამ დროის განმავლობაში იყო პოლონური კულტურა, ტრადიციული კერძები (Zapiekanka, Pierogi,Zurek) და დასალევები (Soplica, Zubrowka), პოლონეთის და კონკრეტულად კრაკოვის ისტორია. ჩემთვის ყველაზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მეორე მსოფლიო ომის დროს არსებულმა საკონცენტრაციო ბანაკმა აუშვიცში (Auschwitz-Birkenau). რაც შეეხება ტრადიციულ კერძებს და დასალევებს, მეგობრებთან ერთად დავაგემოვნეთ ყველა მათგანი და პარალელის გავლება შეიძლება ქართულ კეძთან იეროგი-ების შემთხვევაში, ძალიან გავს ქართულ ხინკალს. რა თქმა უნდა, მხოლოდ პოლონური კერძებით არ შემოვიფარგლეთ და გადავწყვიტეთ ერთ დღეს მოგვეწყო საერთაშორისო სადილი (International dinner). ყველამ წარმოვადგინეთ საკუთარი ქვეყნის ტრადიციული კერძები. როგორც ყოველთვის, ქართული კერძები გამორჩეული იყო და ჩემს მეგობრებზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა, ჩემზე კი ყველაზე დიდი შთაბეჭდილება ბერძნულმა კერძებმა (Pita Gyros,Pasticcio) მოახდინა.

მოკლედ, ამ ხუთმა თვემ ჩაიარა თვალის დახამხამებაში და ყველაზე რთული აღმოჩნდა დამშვიდობების მომენტი, როდესაც ნელ-ნელა ყველა საკუთარ სახლში ვბრუნდებოდით, გვიჭირდა ერთმანეთის გაცილება, უამრავი ემოცია, ტკბილი მოგონებები - გავიხსენეთ მთელი ამ დროის განმავლობაში გატარებული ყოველი დღე, თუმცა ეს მხოლოდ დასაწყისია ახალი და უფრო ღრმა ურთიერთობებისა.

სახლში დაბრუნებულს მორიგი სიურპრიზი მელოდა. მივიღე მონაწილეობა ბათუმის ახალგაზრდული რეგიონული ცენტრის მიერ ორგანიზებულ საზაფხულო სკოლაში და ორი კვირის განმავლობაში (18.08.2019-01.09.2019) ვსწავლობდი რიგის ტექნიკურ უნივერსიტეტში, ლატვიაში. 10 ქართველი გავემგზავრეთ რიგაში, დავიტვირთეთ ზღვა ემოციებითა და გამოცდილებებით. როგორც ვახსენე, ურთიერთობები ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანია, ამიტომ მათთან ძალიან კარგი ურთიერთობები მაქვს დღეს. ვცხოვრობდით ერთ ოჯახად, ერთად ვსწავლობდით, ერთად ვსეირნობდით, ერთად ვმოგზაურობდით (ტალინი, ვილნიუსი) და ერთად ვატარებდით კარგ დროს.

რაც შეეხება სხვა აქტივობებს, მივიღე მონაწილეობა ახალგაზრდული რეგიონული ცენტრის მიერ ორგანიზებულ საჯარო გამოსვლებისა და დებატების ბანაკში, რომელიც ჩატარდა ბაკურიანში და 5 დღის განმავლობაში აქტიურად ვსწავლობდით საჯარო გამოსვლების ხელოვნებას. გარდა ამისა, უკანასკნელი მოვლენებიდან გამომდინარე, მონაწილეობას ვღებულობ ბიზნესთან დაკავშირებულ სხვადასხვა ბანაკებსა და ტრენინგებში: ბიზნეს ბანაკი სასტუმრო ოაზისში (22-24 ნოემბერი 2019წ.), როგორ შევქმნათ ინოვაციური ბიზნეს მოდელი ტრენინგში (25.11.2019), ინოვაციური სტარტაპების ბანაკი სტუდენტებისთვის ყვარელში (29.11.2019 – 02.12.2019). გარდა ამ აქტივობებისა, ძალიან მიყვარს სპორტი (ყოფილი მოჭიდავე ვარ) და მივსდევ მას სამოყვარულო დონეზე. მიყვარს ასევე ჭადრაკის თამაში და აქტიურად ვარ ჩართული ინტელექტუალურ თამაშში „რა? სად? როდის“? (ჩემ გუნდთან ერთად ბევრ წარმატებასაც მივაღწიეთ).

სამომავლო გეგმებს რაც შეეხება, სწავლის გაგრძელებას საერთაშორისო მარკეტინგის მაგისტრო პროგრამაზე ვაპირებ უცხოეთში, თუმცა არ მაქვს გადაწყვეტილი რომელ ქვეყანასა და უნივერსიტეტში. გარდა სწავლისა, ვფიქრობ სტარტაპერობაზე და ჩემს რამდენიმე მეგობართან ერთად მაქვს ბევრი იდეა, რომელთა განხორციელებასაც შევეცდებით უახლოეს მომავალში.

და ბოლოს, ახალი წელიც მოგვადგა კარს. ამიტომ მინდა ყველას გისურვოთ ბედნიერებით, სიხარულით, სიყვარულით და უამრავი დადებითი ემოციით დატვირთული 2020 წელი. Happy New Year!

სრულიად საქართველოს, მშობლიური უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებს, თანამშრომლებსა და სტუდენტ-ახალგაზრდობას ვუღოცავ დამდეგ შობა-ახალ წელს. 2020 წელი ქვეყნისთვის აღმშენებლობის, ჩვენი ოჯახებისთვის სითბოს, ბარაქისა და ბედნიერების მომტანი ყოფილიყოს. ჩვენს მომავალ თაობას ვუსურვებ ერთიან და ძლიერ საქართველოში ეცხოვროთ.

გილოცავთ, უფალი გფარავდეთ ყველას!

მერაბ ფუტკარაძე,
გეოგრაფიის დეპარტამენტის პროფესორი

ჩვენი უნივერსიტეტი თავისი ტრადიციებით, განათლების დონით, ღირებულებებითა და დასახული გეგმებით, ერთ-ერთი გამორჩეული ცოდნის კერაა. მისი სიძლიერე თითოეულ ჩვენგანზეა დამოკიდებული, ამიტომ სტუდენტებისა და ლექტორ-მასწავლებლების ერთიანობას უნივერსიტეტის მთავარი ფასეულობების შესანარჩუნებლად უმნიშვნელოვანესი ადგილი უკავია.

ჩვენს მშობლიურ უნივერსიტეტს ვუსურვებ ბევრი სასარგებლო და წარმატებული პროექტის წამოწყებასა და განხორციელებას, სტუდენტთა სიმრავლეს, საინტერესო საუნივერსიტეტო ცხოვრებას, საერთაშორისო ურთიერთობების გაღრმავებას. მჯერა, რომ ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფაკულტეტთა ცალკეული მიმართულებები წარმატებით გაივლის აკრედიტაციას, შეინარჩუნებს და ყოველთვის შეასრულებს მნიშვნელოვანი საგანმანათლებლო ცენტრის ფუნქციას.

ყველა უნივერსიტეტელს, თითოეულ ბათუმელს და სრულიად საქართველოს უპირველესად ვუსურვებ გაერთიანებულ, მშვიდობიან და ბედნიერ საქართველოში ცხოვრებას, უკეთეს მომავალს, ღმერთის მფარველობას. ყველა ნეგატივი წარსულში დარჩენილიყოს და ძლიერ საქართველოში გვეცხოვროს. უფრო მეტად კეთილგანწყობილნი და ჰუმანურნი ვყოფილიყავით ერთმანეთის მიმართ, ყველას შეგვეტანოს წვლილი საქართველოს კეთილდღეობაში.

თამილა დავითაძე, ასისტენტ პროფესორი

სტუდენტთა შთაბეჭდილებები

ადამიანს მთელი ცხოვრების მანძილზე აქვს სხვადასხვა სტატუსი, რომლითაც ძირითადად ფიგურირებს ხოლმე ახლობლებსა თუ ფართო საზოგადოებაში. სწორედ ერთ-ერთი ასეთი გამორჩეული პერიოდია სტუდენტობა. მეც დიდი მოწიწებით აღვნიშნავ ხოლმე, რომ ვარ ნესტან ვარშანიძე, სტუდენტი. ყველასთვის ტკბილად მოსაგონარი წლები, თავისი ლექციებით, კურსელებით, კონსპექტებით, ლექტორებით, უნივერსიტეტის ეზოთი და ურთიერთობებით აერთიანებს და ქმნის მას.



უკვე მეოთხე წელია, რაც საუნივერსიტეტო ცხოვრებაში ვარ ჩართული. ვეუფლები ეკონომიკის სპეციალობას, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე. რომ გითხრათ, ია-ვარდებით არის მოფენილი ეს გზა მეთქი, არ ვიქნები მართალი, თუმცა სწორედ ეს პროცესი გვქმნის ჩვენ. უნივერსიტეტში ვატარებთ დროის სხვადასხვა პერიოდს. უნდა აღინიშნოს, რომ განსაკუთრებით ბოლო პერიოდში უნივერსიტეტსა და სტუდენტს შორის კიდევ უფრო მჭიდრო გახდა კავშირი, სხვადასხვა აქტივობებითა და ღონისძიებებით, პროექტებით, რამაც გაზარდა სტუდენტების ჩართულობა არამხოლოდ სასწავლო პროცესში, არამედ, როგორც კულტურულ-საგანმანათლებლო, ისე სპორტულ აქტივობებშიც.

მინდა გითხრათ, რომ ჩემი მოლოდინები პირველივე დღესვე არ გამართლდა. გაგონილი მქონდა და ველოდი, რომ მხოლოდ 2-3 საათით მივირბენდი ლექციაზე, მოვისმენდი, „ჩავაბარებდი“ სემინარს და ამით ამოიწურებოდა მთელი ჩემი „ღვაწლი“ უნივერსიტეტში. თუმცა, საპირისპიროდ... აღმოჩნდა, რომ თურმე ჩემი სამუშაო თუ არასამუშაო დღის უმეტეს ნაწილს სწორედ აქ ვატარებ.

და მაინც, რა შეიძლება გააკეთოს სტუდენტმა მთელი დღე უნივერსიტეტში გარდა სწავლისა?

ამის თვალსაჩინოებისათვის სამ პერიოდს გამოვყოფდი ჩემი გამოცდილებიდან:

პირველი და ვფიქრობ, ყველაზე მნიშვნელოვანი ამბავია დებატები. „კარგი მოდებატე არის კარგი ადამიანი“ (რ.ოკუჯავა), ამ ფრაზით დაიწყო ჩემი ურთიერთობა დებატებთან. მანამდე სკოლის პერიოდშიც მითამაშია დებატები, მსმენია ამ ფენომენის შესახებ. პირველივე სემესტრში ჩემთვის ჯერ კიდევ უცნობი კაცი შემოდის და გვიზიარებს დებატების ტრენინგებზე ინფორმაციას. ნუ, ვიფიქრე, ცუდად ჯდომას ცუდად შრომა ჯობია და საბოლოოდ საქართველოს თელავის საპარლამენტო დებატების ტურნირი 2016-ის ჩემპიონი გავხდი (რა თქმა უნდა, ერთგულ მეწყვილესთან ერთად, მოვიკითხავ გვანცა ლომაძეს ევროპაში). მაშინ ვისწავლე დებატების ტექნიკა, წესები, ოპონენტის მოსმენა, გავიარეთ შესაბამისი ტრენინგები. ღონისძიებაში ჩართული იყო მთელი საქართველოს მასშტაბით სხვადასხვა უნივერსიტეტის სტუდენტები, მათ შორის გამოცდილი მოდებატეებიც. რთული იყო იმის დაჯერება,

რომ გამარჯვების შანსი გვქონდა, თუმცა ბევრმა პრაქტიკამ, მარცხმა თუ გამარჯვებამ შედეგი გამოიღო. მას შემდეგ არაერთ დებატებში მიმიღია მონაწილეობა და გავმხდარვარ საუკეთესო მომხსენებელიც, თუმცა პირველი გამარჯვება პირველივე შემთხვევაში დამამახსოვრდა ყველაზე მეტად. დღესაც თავისუფალ დროს აქტიურად ვცდილობთ ჩვენი უნივერსიტეტის დებატ-კლუბის წევრები შეკრებასა და სხვადასხვა აქტუალურ თემებზე მსჯელობასა და წესების ირგვლივ კონსტრუქტიულ დებატებს, ვუზიარებთ ჩვენს გამოცდილებას ერთმანეთს და ახალ წევრებს, რომლებსაც დიდი სურვილი და მოტივაცია აქვთ ისწავლონ დებატების ტექნიკა, საჯარო გამოსვლები.

მეორე რა — თუ არა ისევ დებატები, ამჯერად „ეკონომიკური დებატები ბსუ 2019“. გასულ წელს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტმა პირველად სტუდენტებს მოგვცა შესაძლებლობა თავად გამოგვერჩია და დაგვეგეგმა-განგვერხორციელებინა სტუდენტური ღონისძიებები. მსგავსი შესაძლებლობის ხელიდან გაშვება არ შეიძლებოდა. არც კი დავმსხდარვართ და ბევრიც კი არ გვიფიქრია მე და ჩემს მეგობარს რისი გაკეთება შეიძლებოდა. თანაავტორ, ასევე ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ფინანსების სპეციალობის წარმატებულ სტუდენტ, გოგიტა ბარამიძესთან ერთად დავწერე პროექტი. რა თქმა უნდა, არაფერი გამოგვივიდოდა ასე წარმატებით რომ არა უფროსი მეგობრების მხარდაჭერა, მათ შორის კი აჭარის დებატ-კლუბის პრეზიდენტის დავით ფარტენაძის, ასევე უნივერსიტეტის მაქსიმალური ჩართულობისა და მზაობისა მსგავსი აქტივობის განხორციელებისა.

პროექტზე მუშაობა არ იყო მარტივი, ვიკრიბებოდით კვირაში რამდენჯერმე, ბოლოს უკვე ყოველდღიურობის ნაწილად იქცა. ვფიქრობდით, ვწერდით, ვშლიდით, ვკამათობდით, ხან სად ვრეკავდით, ხან ვის ვურეკავდით, თუმცა, როგორც ბოლოს აღმოვაჩინე, მთავარი იყო ის, რომ გვჯეროდა და ვხედავდით ჩვენს ღონისძიებას.

რას მოიცავდა ეს პროექტი - ეს არის 3-ნაწილიანი პროგრამა, რომელიც თავის თავში აერთიანებდა როგორც საჯარო ლექციებს, ისე ტრენინგებსა და ბოლოს უკვე დებატების ტურნირს. ეს იყო ბანაკი, სადაც მონაწილეობას იღებდა ბათუმის უნივერსიტეტის 20 სტუდენტი და სხვა უმაღლესი სასწავლებლის ასევე 20 სტუდენტი. პროექტის ერთ-ერთი მთავარი ღირებულებაც აქვე მინდა აღვნიშნო - ინტეგრაციის პროცესი. მესამე კურსზე ვიყავი და ძალიან ცოტა სტუდენტს თუ ვიცნობდი სხვა უნივერსიტეტის ბიზნესისა და ეკონომიკის მიმართულებიდან, აღარაფერი რომ ვთქვა ცოდნის გაზიარებაზე. ჩვენი პროექტის ფარგლებში კი 5 დღის განმავლობაში ეს სტუდენტები ცხოვრობდნენ ბსუ-ს ახალ საერთო საცხოვრებელში და მთელი ამ პერიოდის განმავლობაში როგორც ფორმალურ, ისე არაფორმალურ გარემოში ხდებოდა ემოციების, გამოცდილების, ურთიერთობების გაცვლა. ამ სტუდენტებს შორის დღესაც აქტიური კონტაქტია, ვუზიარებთ ხოლმე სხვადასხვა ღონისძიებებს, კონფერენციებს. დებატების შინაარსობრივი მხარისათვის მნიშვნელოვანია წინარე ცოდნა, რომელიც გვაქვს სადებატო თემასთან დაკავშირებით. ამ მიზნით ჩავატარეთ საჯარო ლექციები, რომლის ფარგლებშიც მოხსენება წაიკითხა ვლადიმერ პაპავამ (თსუ-ს პროფესორი, საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი და გამოყენებითი ეკონომიკის კვლევის ცენტრის დირექტორი), მამუკა ბერძენიშვილმა (ტურიზმის ინსტიტუტის დირექტორი), ტიტე არაშიძემ (აჭარის სოფლის მეურნეობის მინისტრი), ტატო ხუნდაძემ (სოციოლოგი, პირველი არხის ანალიტიკოსი, ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის ლექტორი). ღონისძიების პერიოდშივე საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატ ვლადიმერ პაპავას ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ საპატიო დოქტორის წოდება მიანიჭა, რომლის ინიციატორიც იყო ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი ბ-ნი ვლადიმერ ღლონტი. საერთო ჯამში ღონისძიებამ თავისი როლი ითამაშა ფაკულტეტის და უნივერსიტეტის ცხოვრებაში, ჩავატარეთ ტურნირი, გამოვავლინეთ გამარჯვებულები და რაც მთავარია გავცვალეთ ღირებულებები. ამ პროცესებში ჩართული იყო სტუდენტური ცხოვრების სხვადასხვა ნაწილიც, მაგალითად, გვქონდა შესაძლებლობა მოგვესმინა ბსუ-ს ბენდისათვის, პროექტის მონაწილეებთან ერთად ჩავრთულიყავით სხვადასხვა მიმდინარე სპორტულ თუ კულტურულ აქტივობაში.

წელსაც ვაპირებთ პროექტების კონკურსში მონაწილეობას, ვიმედოვნებთ, წარმატებით გავივლით კონკურსს. უკვე აქტიურად ვმუშაობთ სხვა დამატებითი დეტალებისა და პროექტში ინოვაციების შეტანაზე. გვინდა ამ ფორმატმა ტრადიციული სახე მიიღოს და არაერთ სტუდენტს მთელი საქართველოს მასშტაბით მიეცეს შესაძლებლობა მიიღოს მონაწილეობა ეკონომიკურ დებატებში.

მასამე ეს არის „მწვანე ეკონომიკის სკოლა“. მთავარი გამოწვევა რაც დღეს გვაქვს სტუდენტებს, ესაა ცოდნის პრაქტიკაში განხორციელება. სწორედ ამის შესაძლებლობა მოგვცა ამიერკავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციათა ქსელმა (ჩ) ავსტრიის განვითარების ფონდთან ერთად.

სემესტრის ბოლოს სტუდენტებს ჩაგვიტარდა საინფორმაციო შეხვედრა „მწვანე ეკონომიკის სკოლის“ შესახებ. აღმოჩნდა, რომ გვქონდა შესაძლებლობა მთელი ზაფხულის განმავლობაში გვემუშავა სხვადასხვა ბიზნეს-გეგმებზე, ჩაგვეტარებინა საველე კვლევები და კონსულტაცია გაგვევლო

ბიზნეს სექტორის წარმომადგენლებთან და სხვადასხვა სამთავრობო უწყებებთან. გამოცხადდა კონკურსი სადაც საქართველოს უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტებისგან უნდა შეერჩიათ 25 მონაწილე. გარდა იმისა, რომ კონკრეტულად ეს პროექტი იყო ჩემთვის საინტერესო, მანამდეც ვმუშაობდი სამეცნიერო თემაზე ამ მიმართულებით რომლითაც საუნივერსიტეტო სამეცნიერო კონფერენციის გამარჯვებულიც კი გავხდი (თანაავტორი თამუნა ვარშანიძე).

პროცესები უფრო საინტერესოდ წარიმართა ვიდრე ველოდი. ჩვენი უნივერსიტეტიდან შეირჩა სამი მონაწილე მე, ასევე ეკონომიკის სპეციალობის სტუდენტი გიორგი აბაშიძე და მენეჯმენტის სპეციალობის სტუდენტი ლაშა მამულაძე. პროექტში ჩართული იყვნენ 6 სხვადასხვა უნივერსიტეტის სტუდენტი. პირველ ეტაპზე ვიყავით ბულაჩაურში „მწვანე ეკონომიკის ბანაკში“, სადაც კონკრეტულად გავეცანით სხვადასხვა თემატიკას როგორც ეკონომიკის, ისე გარემოსდაცვითი მიმართულებით. ამავე დროს გაფორმდა მემორანდუმები 11 სამთავრობო უწყებასა და უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებს შორის. სანამ უშუალოდ მუშაობას დავიწყებდით, გადავნაწილდით გუნდებად და შევაჩიეთ სამუშაო ლოკაცია. ჩემთან ერთად პროექტის ფარგლებში მუშაობდა გიორგი აბაშიძე, შევარჩიეთ ბეშუმის ლოკაცია, სადაც ჩამოვყალიბდით რომ პროექტისა და საერთოდ, რეგიონის, კურორტის განვითარებისათვის ოპტიმალური ბიზნეს-მოდელის ფორმით უნდა შეგვეთავაზებინა იდეა „ბეშუმის ტყე-პარკი“.

და აქ დაიწყო გადარბენა, თავისტკივილი, დოკუმენტები, შეხვედრები, ფორმულები, ბალანსი და სხვა ყველაფერი. პროცესები კიდევ უფრო საინტერესოდ წარიმართა ვიდრე ველოდი. ერთი შეხედვით რთული იყო ორი გამოუცდელი სტუდენტისათვის 100 000 ლარიანი ინვერსტირებისათვის ბიზნეს-გეგმის შემუშავება, თუმცაღა ხიბლიც ეგ იყო. პროექტზე მუშაობისას ვესტუმრეთ კურორტ ბეშუმს, შეხვედრები გვქონდა ადგილობრივ სამთავრობო წარმომადგენლებთან, ასევე სხვადასხვა სამინისტროებში (სოფლის მეურნეობის, ტურიზმის), სატყეო სააგენტოში. საბოლოოდ შევარჩიეთ კონკრეტული ლოკაცია, კურორტ ბეშუმთან არსებული ტერიტორია, რომელშიც მოეწყობა რეკრეაციული ზონა თავისი ინფრასტრუქტურით, საოჯახო თუ ექსტრემალური გართობის სივრცეებით.

შემაჯამებელი ღონისძიება წარმოდგენილი იყო სასტუმრო „კაჭრეთის ამბასადორში“ მწვანე ეკონომიკის ინოვაციების ფორუმის სახით. ფორუმზე საქართველოს სხვადასხვა უნივერსიტეტების სტუდენტებმა და სატყეო სექტორის დაინტერესებულმა მხარეებმა ტყის რესურსებით მდგრად სარგებლობაზე დაფუძნებული ბიზნეს-გეგმები წარმოვადგინეთ. სექტორის დაინტერესებულ მხარეს საშუალება ჰქონდა ემსჯელა წარდგენილი ბიზნეს კონცეფციების მდგრადობისა და ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმების პოტენციალის შესახებ. სტუდენტების მიერ მომზადებული კონცეფციებიდან ოთხი ყველაზე პერსპექტიული შეირჩა შემდგომი პილოტირებისათვის, მათ შორის ჩვენ მიერ წარდგენილი „ბეშუმის ტყე-პარკი“. ვიმედოვნებთ მალე დაგპატიჟებთ ბეშუმის ტყე-პარკში.

სულ ეს იყო, ყველაფერი მარტივია, მთავარია მონდომება და შრომისმოყვარეობა.

გილოცავთ დამდეგ შობა-ახალ წელს! ჯანის სიმრთელე, დღეგრძელობა, მახვილი გონება და წრფელი გული დაგბედებოდეთ. სიკეთის, ცოდნის გაღრმავებისა და ოცნებების ახდენის წელი ყოფილიყოს. წარმატებები ჩვენ ახალ 2020 წელს!

ინსტიტუტის მიერ შემუშავებული ტექნოლოგიები განათლების, მეცნიერებისა და ბიზნესის ინტეგრაციის გაფართოებას უზრუნველყოფს

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების ინსტიტუტი ქმნის გარემოს უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების მაღალხარისხოვნად შესრულებაში, უპირველეს ყოვლისა აგრარული ფაკულტეტისათვის. ინსტიტუტის სამეცნიერო-კვლევითი თემატიკა მოიცავს პროგრამას 2018-2022 წლებისათვის სამ ძირითად მიმართულებას: მემბრანული ტექნოლოგიები, აგრარული და კვების პროდუქტების წარმოების ტექნოლოგიები, პროდუქციის უსაფრთხოებისა და ქიმიური ანალიზის ტექნოლოგიები.

ბოლო წლებში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ისეთი ტექნოლოგიების, ამოცანებისა და პროგრამების შემუშავებას, რომელიც ხელს უწყობს განათლების, მეცნიერებისა და ბიზნესის ინტეგრაციის პროცესების დაჩქარებას აგრობიზნესის სფეროში.

2019 წელი მნიშვნელოვანი იყო ინსტიტუტის საქმიანობაში მემბრანული ტექნოლოგიების შემუშავების, სხვადასხვა დანიშნულების მემბრანების დამზადება-გამოცდის სფეროში. წყლის რესურსების, გადამამუშავებელ მრეწველობაში თხევადი კვების პროდუქტების და სხვა სახის პროდუქციის კონკურენტუნარიანობისა და მაღალი ხარისხით დამზადების პოტენციალს მნიშვნელოვნად ზრდის ინსტიტუტის მიერ შემუშავებული მემბრანული ტექნოლოგიები და მოწყობილობა-დანადგარები, ასევე ადგილობრივი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ნედლეულის წარმოების შენარჩუნება-გაფართოების, გადამუშავების უზრუნველმყოფი მრავალპროფილური საწარმოო ობიექტების ქსელის ჩამოყალიბების, პროდუქციის ასორტიმენტისა და ნომენკლატურის გაფართოების, იმპორტჩანაცვლების, მეურნეობრიობის, კოოპერატიულ, ფერმერული და ოჯახური ფორმების ურთიერთშეთანაწყობისა და დაბალანსებული განვითარების, მოსახლეობის დასაქმებისა და მათი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების პრობლემათა ადეკვატური პროექტების, პროგრამების, რეკომენდაციების, ტექნოლოგიების შემუშავება და დანერგვის სტიმულირება.

მნიშვნელოვანი კვლევები ჩატარდა და მომავალშიც გაგრძელდება ისეთი ტექნოლოგიების შემუშავება-დანერგვა, რომელიც ითვალისწინებს თანამედროვე ბიოქიმიური პრეპარატების, შხამქიმიკატების, სასუქების, თანამედროვე ტექნიკური საშუალებების, სასაწყობო და სამაცივრო მეურნეობების გამოყენებას. მნიშვნელოვანი იყო ინსტიტუტის მიერ აჭარის რეგიონისათვის ტრადიციული და მნიშვნელოვანი დარგის მეციტრუსეობის რეაბილიტაცია-განვითარების უზრუნველმყოფი ტექნოლოგიების შემუშავება. ინსტიტუტის მიერ შემუშავებული არასტანდარტული ნაყოფის გადამუშავებით ე.წ. სნეკების სხვადასხვა სახეობების წარმოების ცუკატების, ჯემების, მურაბების, წვენების, პექტინის და სხვა პროდუქტების წარმოების კომპლექსური და უნარჩენო ტექნოლოგიების შემუშავებამ დაასაბუთა, მანდარინისა და სხვა ციტრუსების, სუბტროპიკული კულტურების ნაყოფის გამოყენების გაფართოებით დარგის აღორძინება-განვითარების რეალური მასშტაბები.

ინსტიტუტის დირექციამ და სამეცნიერო საბჭომ დღის წესრიგში დააყენა საკითხი ინსტიტუტის კომერციალიზაციასთან დაკავშირებით. მიმდინარეობს განხორციელების იურიდიულ სამართლებრივი ფორმებისა და ორგანიზაციული მართვის პრობლემათა გადაჭრა, რომელიც აისახა ინსტიტუტის 2018-2022 წლების სამეცნიერო-კვლევით თემატურ გეგმაში განათლების, მეცნიერებისა და ბიზნესის ინტეგრაციის მიმართულებით. უკვე სახეზეა პოზიტიური კვლევის შედეგები და მათ საფუძველზე შემუშავებული რეკომენდაციები და წინადადებები. აქტიურად დაიწყო და შემდგომშიც გაგრძელდება სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციების, შეხვედრების ჩატარება აგრობიზნესის სუბიექტთა ფართო ჩართულობით როგორც აჭარაში ისე მის ფარგლებს გარეთ, რაც მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს თემატური გეგმის შედგენის ხარისხის ამაღლებასა და კომერციალიზაციის გაფართოებას, შემუშავებულ ტექნოლოგიებზე მოთხოვნის ზრდას და დანერგვას.



ინსტიტუტის ყველა თანამშრომელი გრძნობს უნივერსიტეტის ხელშეწყობას, დიდი მხარდაჭერას და ძალისხმევას მეცნიერული კვლევების გაფართოებისა, შრომის სტიმულირების, სამუშაოთა შესრულების მეცნიერული დონის ამაღლების, თანამედროვე მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარების პრობლემათა გადაჭრაში. მთელი კოლექტივი კიდევ უფრო გააქტიურებს თავის მუშაობას მაღალი შედეგების მისაღებად, ინსტიტუტის უნივერსიტეტის იმიჯის ასამაღლებლად.

ვულოცავთ ბათუმის შოთა რუსთაველის უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას, პროფესორ-მასწავლებლებს, სტუდენტებს ახალი 2020 წლის დადგომას. ვუსურვებთ დიდ წარმატებებს.

ინსტიტუტის დირექტორი რ.გოცირიძე
სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე
გ.პაპუნიძე

დგება ყოველწლიურად რუტინით გამორჩეული დღესასწაული - ახალი წელი, თუმცა ამავდროულად ის ძალიან ემოციური და სასურველი დღეა. მიუხედავად ყველაფრისა, კაცობრიობის უმეტესი ნაწილი იმედის თვალით შეჰყურებს და პოზიტიური განწყობით ეგებება ყოველ ახალ წელს. მინდა ვისარგებლო აღნიშნული შესაძლებლობით და საუნივერსიტეტო გაზეთის მეშვეობით ბსუ-სტუდენტებს, პერსონალს და ყველა გულშემატკივარს მივულოცო 2020 წელი. საკუთარი შესაძლებლობების, დასახული მიზნებისა და მოლოდინის ასრულების წელი ყოფილიყოს. ყველაზე მთავარი კი, რაც უკლებლივ ყველას

მინდა ვუსურვო, საკუთარი ადგილის პოვნაა, ხოლო სტუდენტებს კი განსაკუთრებით აქტიურობისკენ, მიზანდასახული მოქმედებისკენ მოვუწოდებ, მათ გასაკეთებელს სხვა არ გააკეთებს. წარმატება მხოლოდ სწორად დაგეგმილ და განხორციელებულ მოქმედებებს მოყვება, სიცოცხლე აქტიურობაშია. მრავალი ბედნიერი წელი ჩვენს სტუდენტებს, ბსუ-ს, ქვეყანას და ჩვენი ქვეყნის გულშემატკივრებს.

ლევან ჯაყელი, იურიდიულ
და სოციალურ მეცნიერებათა
ფაკულტეტის დეკანი

შობა-ახალი წელი გამორჩეული დღესასწაულია ჩემთვის, რომელსაც ბევრი ახალი წარმატება მოაქვს.

ჩემო მეგობრებო, უნივერსიტეტელებო, ლექტორებო და ახლობლებო, დგება 2020 წელი. გილოცავთ ჩვენს ოჯახებში მის შემობრძანებას. ამ წელს მოეტანოს ყველასთვის ბარაქა, ულევი სიხარული და სიყვარული. 2020 წელი ყოფილიყოს ჩვენი უნივერსიტეტისთვის წარმატების მომტანი.

დაე, 2020 წელი იყოს მსოფლიო მშვიდობის, ჩვენი ქვეყნის გაერთიანების, ურთიერთშერიგების, მატერიალური კეთილდღეობის და წარმატებების მომტანი. დავივიწყოთ წყენა და მოვეფეროთ ერთმანეთს. და ბოლოს, მილოცვა ჩემთვის გამორჩეული ქართველი შემოქმედის, ნოდარ დუმბაძის სიტყვებით მინდა დავასრულო: „შემოქმედო ყოვლისა, შენ გაუთენე ჩემს ხალხს, ჩემს სამშობლოს ბედნიერი ახალი წელი, დალოცე აკვანი, კალთა და ძუძუ საქართველოსი. გაავსე სახლი ყოველი მშრომელისა მზითა და სითბოთი, ბეღელი პურით, მარანი ღვინით, ახორი - საქონლით, კერია ფრინველით და გული სათნოებით. მიიღე მამულო ჩემგან ეს ლოცვა.

უფალმა გაგვაძლიეროს, გვფარავდეს მისი მადლი ჩვენ და სრულიად საქართველოს.

გილოცავთ შობა -ახალ წელს! გისურვებთ ხალისსა და ბედნიერებას!

იურიდიულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის მეორე
კურსის სტუდენტი მირიან ფუტკარაძე

რამდენიმე დღეც და კარს მოგვადგება შობა-ახალი წელი. დროა შევაჯამოთ გასული წლის შედეგები და დავსახოთ გეგმები მომავალი წარმატებისა. მე მინდა დამდეგი შობა ახალი წელი მივულოცო ჩემს ლამაზ და წარმატებულ უნივერსიტეტს: ლექტორ-მასწავლებლებს, თანამშრომლებს, სტუდენტ-ახალგაზრდობას და სრულიად საქართველოს. მინდა გისურვოთ მშვიდობა, წარმატებები, ბედნიერება, ჯანმრთელობა, იმედების გამართლება, სურვილების ასრულება და დასახული მიზნების განხორციელება. ყოველივე ახალს მოაქვს გარკვეული სიახლეები. დამდეგ 2020 წელს თითოეული თქვენგანისა და სრულიად საქართველოსათვის მოეტანოს ახალ-ახალი წარმატებები. უფალი იყოს თქვენი და სრულიად საქართველოს მფარველი.

გეოგრაფიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი
ანთაზ ქიქავა

ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტი 60 წლისაა

განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი 2019

ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტისათვის 2019 წელი განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი იყო. თითოეული განყოფილება ახორციელებდა პროგრამული დაფინანსებით სამეცნიერო-კვლევით პროექტებს. ფოლკლორის, დიალექტოლოგიისა და ემიგრანტული ლიტერატურის კვლევის განყოფილება მუშაობს ლექსიკონზე - „აჭარულ და ტაოკლარჯულ კილოთა სიტყვის კონა“, რომელიც 2022 წელს გამოიცემა. ეთნოგრაფიისა და სოციოლოგიური კვლევის განყოფილების თანამშრომლები აგრძელებენ მუშაობას ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ფონდებში დაცული ეთნოგრაფიული მასალების (საექსპედიციო დღიურები, ვიზუალური მასალა) გამოსაცემად. ამავე დროს, გამოსაცემად მომზადდა პროექტის პირველ ეტაპზე დამუშავებული მასალები (მემინდვრეობა) კომენტარებითა და საძიებლებით. სოციოლოგიის მიმართულებით ქ. ბათუმის კერძო და საჯარო სკოლების მოსწავლეთა მიერ საგანმანათლებლო პროცესის (სოციოლოგიური შესწავლა). ისტორიისა და არქეოლოგიის განყოფილება კი მუშაობდა ორ პროექტზე: ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში XV - XX სს-ის 90-იან წწ. და „ციხისძირის კომპლექსური არქეოლოგიური ძეგლი (ისტორიულ-არქეოლოგიური გამოკვლევა)“. გამოსაცემად მზადაა კვლევის შედეგები „ციხისძირის სამაროვანი“ (ავტორები: ნინო ინაიშვილი და ნინელი ვაშაკიძე).

„დევსქელის ხეობის მოსახლეობის ეთნოკულტურის შესწავლა“ პროექტის ფარგლებში (რ. მალაყმაძე, ნ. კახიძე, თ. ლომთათიძე, ე. ფუტკარაძე, ნ. ჩელებაძე) მოეწყო კომპლექსური ექსპედიცია თურქეთში ართვინის ვილაიეთის ბორჩხის რაიონის ისტორიული დევსქელის ხეობის სოფლებში. ამჟამად მიმდინარეობს საველე მასალის კამერალური დამუშავება და შესწავლა. საბოლოოდ კვლევის შედეგები აისახება მონოგრაფიაში „დევსქელის ხეობა (ისტორიულ-ეთნოლოგიური დახასიათება).

ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის დამსახურებაა სტამბოლის ქართული სავანის ბიბლიოთეკისა და არქივის შესწავლა. ამ მიმართულებით 2019 წელს ქალბატონ შუშანა ფუტკარაძის ხელმძღვანელობით მოეწყო სამეცნიერო მივლინება სტამბოლში. მომზადდა გამოსაცემად უნიკალური საარქივო დოკუმენტთა კრებული „მასალები სტამბოლის ქართული სავანიდან“ წიგნი II.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია მეცნიერ თანამშრომელთა მიერ მომზადებული აკადემიური გამოცემები. ინსტიტუტის მთავარმა მეცნიერმა თანამშრომელმა ბატონმა ოთარ თურმანიძემ გამოსცა მონოგრაფია „საბჭოთა რეჟიმი და მასობრივი რეპრესიები აჭარაში (1921-1952 წწ.)“. მთავარი მეცნიერი თანამშრომლების როინ მალაყმაძის, ნაილა ჩელებაძის, ელზა ფუტკარაძის თანაავტორობით დაიბეჭდა გამოკვლევა „ზედა მაჭახელი“ (ისტორიულ-ეთნოლოგიური, დიალექტოლოგიური მიმოხილვა); გამოსაცემად მზადაა ისტორიისა და არქეოლოგის განყოფილების მთავარი მეცნიერი თანამშრომლის გიორგი თავამაიშვილის წიგნი „თამბაქო და გვიანი შუასაუკუნეების ოსმალური თიხის ჩიბუხები“; ფოლკლორის, დიალექტოლოგისა და ემიგრანტული ლიტერატურის განყოფილების მეცნიერ თანამშრომელთა მიერ დამუშავებული საფონდო მასალათა კრებული - „აჭარული საუნჯე,“ მეხუთე ტომი; ამავე განყოფილებამ გამოსაცემად მოამზადა წიგნი- „ხატოვანი სიტყვა -თქმები აჭარულში“ (ავტორები: ნ.ნოღაიდელი , ე. ფუტკარაძე).

2019 წელი გამორჩეული იყო მეცნიერ თანამშრომელთა სამეცნიერო საგრანტო პროექტებში ჩართულობით. მათი ხელმძღვანელობით მუშავდება ორი სამეცნიერო პროექტი შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფინასებით.- ეს პროექტებია: „ხარიტონ ახვლედიანის აჭარის მუზეუმში დაცული მონეტების კატალოგი“ (ხელმძღვანელი ირინე ვარშალომიძე), ბსუ-ს მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტი „ბათუმი ბრიტანეთის ვიცე-კონსულების ანგარიშებში (1830-1853 წწ.)“ (ხელმძღვანელი ოლეგ ჯიბაშვილი). ისტორიისა და არქეოლოგის განყოფილების მეცნიერი თანამშრომელი სულხან მამულაძე მონაწილეობს შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებულ პროექტში -„ისტორიული ჭანეთის ცენტრალურ ნაწილში დაცული ქართული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები (საფორტიფიკაციო ნაგებობები, ეკლესიები, საკომუნიკაციო და საყოფაცხოვრებო არქიტექტურის ნიმუშები)“ როგორც ძირითადი პერსონალი და გონიო-აფსაროსის პოლონურ-ქართულ ერთობლივ არქეოლოგიურ ექსპედიციაში.

ასევე მნიშვნელოვანია ინსტიტუტის ჩართულობა საერთაშორისო მიზნობრივ სამეცნიერო პროგრამებში. ეთნოლოგიისა და სოციოლოგის განყოფილების უფროსი მეცნიერი თანამშრომელი რუსლან ბარამიძე გერმანიის აკადემიური გაცვლის სამსახურის () ფინანსური უზრუნველყოფით იმყოფებოდა მარბურგის უნივერსიტეტის კონფლიქტების შემსწავლელი ცენტრის კულტურული და სოციალური ანთროპოლოგიის დეპარტამენტში პოსტდოქტორანტული სამეცნიერო პროექტის .-„იდენტობა, ადგილი და ძალა: ქალაქური კონფლიქტის იდეოლოგიური განზომილება“-განსახორციელებლად.

მნიშვნელოვანია ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომელთა ჯგუფის (როინ მალაყმაძე, თამილა ლომთათიძე, ნოდარ კახიძე, მაია ჭიჭილეიშვილი) აქტიური მონაწილეობა აჭარის სამთავრობო პროგრამის განხორციელებაში, როგორიცაა „მაჭახლის ხეობის ეთნოსოფელის“ პროექტის შემუშავება.

ინსტიტუტის თაოსნობით 2019 წელს ჩატარდა უკვე ტრადიციად ქცეული საერთაშორისო კონფერენციები- „ბათუმი-წარსული და თანამედროვეობა“, „ჩვენი სულიერების ბალავარი“. კონფერენციაზე აუდიტორიის წინაშე საინტერესო მოხსენებებით წარსდგნენ საქართველოსა და უცხოეთის სხვადასხვა საგანმანათლებლო-სამეცნიერო ცენტრის წარმომადგენლები.

გარდა აღნიშნულისა, ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომლები 2019 წლის მანძილზე მონაწილეობდნენ სხვადასხვა სამეცნიერო ღონისძიებაში როგორც საქართველოში, ისე უცხოეთში (რუმინეთი, იაპონია, კორეა); აქვეყნებდნენ სამეცნიერო სტატიებს სხვადასხვა პერიოდულ გამოცემებში, აქტიურად მონაწილეობდნენ სხვა საზოგადოებრივ თუ სამეცნიერო-საგანმანათლებლო საქმიანობაში.

ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტი მომავალშიც წარმატებით განახორციელებს სამეცნიერო საქმიანობას და ღირსეულ ადგილს დაიჭერს ქართულ სამეცნიერო სივრცეში. პირველ რიგში სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის აჭარის ოთხტომეულის ბაზაზე მომზადდება ერთტომეული „აჭარა“ (ქართულ-უცხოურ ენაზე), გაგრძელდება მუშაობა ინსტიტუტის შრომების გამოცემაზე, გამოიცემა „აჭარის ეთნოგრაფიული ალბომი“ და სხვა.

როინ მალაყმაძე
ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის
დირექტორი
ისტორიის დოქტორი



ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებს, სტუდენტებს და ადმინისტრაციის თანამშრომლებს გილოცავთ შობა-ახალ წელს. 2020 წელს თითოეული თქვენგანისთვის მოეტანოს ხვავი, ბარაქა, სიკეთე, სიხარული, სიყვარული. ჩვენი უნივერსიტეტი გაძლიერებულიყოს, სტუდენტებს მეტი მოტივაცია გვქონოდეს სასწავლო პროცესისა და ჩვენივე მომავლისათვის. მრავალს დაესწარით!

ბექა ხოზრევანიძე,
საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა
და ჯანდაცვის ფაკულტეტის
სტუდენტი



მეგობრებო, კოლეგებო, სტუდენტებო!

გილოცავთ დამდეგ შობა- ახალ წელს. ეს წელი მშვიდობის, ბედნიერების, სიხარულის, ახალი სურვილებისა და შემართების წელი ყოფილიყოს. მინდა გახარებულებს და გაბრწყინებულებს გხედავდეთ. განსაკუთრებით მინდა მივულოცო სტუდენტებს, რადგან როგორც დიდი ილია ბრძანებდა ,,რამდენადაც არ უნდა მოგვწონდეს ახალი თაობა, უნდა ვენდოთ მათ. ისინი არიან ჩვენი მომავალნი, არიან ჩვენი დანატოვარნი და რარიგ დიდი წარსულიც არ უნდა ჰქონდეს ხალხს, ის მაინც მომავლით უნდა ცხოვრობდეს'' - ეს მომავალი, ჩვენი მომავალი - თქვენ ხართ. ამიტომ ნებისმიერი გამარჯვება რომელსაც თქვენთვის ვისურვებ, უნივერსიტეტის გამარჯვებაცაა.

უფალი გფარავდეთ. სურვილების ასრულების წელი იწყება!

ირაკლი კორძაია,
ასოცირებული პროფესორი

ძვირფასო თანამშრომლებო, კოლეგებო, მეგობრებო მინდა თითოეულ თქვენგანს გულითადად მოგილოცოთ დამდეგი შობა-ახალ წელი და გისურვოთ, რომ 2020 წელი ყოფილიყოს ხვავით, ბარაქით, სიკეთით, სიხარულით, სიყვარულით, ბედნიერებით დატვირთული წელი!

ყოველი ადამიანი განსაკუთრებული მოლოდინით ხვდება ახალ წელს, მოლოდინით -ცვლილებებისა უკეთესობისკენ, მოლოდინით, რომ დადგება სურვილების ასრულებისა და მიზნების განხორციელების დრო. შობა-ახალი წელი ხომ ძველის დავიწყების და ახლის შემობრძანების სიმბოლოა.

მჯერა, რომ ჩვენი ერთიანობით, დაუღალავი შრომით და ურთიერთსიყვარულით შევძლებთ უკეთეს უნივერსიტეტში თანამშრომლობას. ვიმედოვნებ, რომ ახალი წელი კიდევ უფრო მეტად საქმიანი, წარმატებული და სასიკეთო იქნება ჩვენთვის.

უფალმა დაგლოცოთ და გაგაძლიეროთ!

კეთილი სურვილებით, სიყვარულით და პატივისცემით

თამარ ასანიძე,
ბსუ-ს არქივის უფროსი,
ბიოლოგიის დოქტორი

სტრატეგიული განვითარების ძირითადი პრიორიტეტები

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიტოპათოლოგიისა და ბიომრავალფეროვნების ინსტიტუტში 2019 წელს მიმდინარეობდა გარდამავალი სამეცნიერო კვლევები ინსტიტუტის სტრატეგიული განვითარების ძირითადი პრიორიტეტის შესაბამისად: ბიოლოგიური და სასურსათო უსაფრთხოების ამაღლება ბიომრავალფეროვნების ცალკეული კომპონენტის შესწავლის, დაცვისა და შენარჩუნების გ ზით. ბიოლოგიური და სასურსათო უსაფრთხოება, ბიომრავალფეროვნების კონსერვაცია, თანამედროვეობის უმთავრესი პრობლემაა.

იმის გამო, რომ დაავადებების გამომწვევთა სახეობრივი და შიდასახეობრივი სტრუქტურა გამუდმებით იცვლება მასპინძელი მცენარეების ჯიშური შემადგენლობის, მცენარეთა მოყვანის ტექნოლოგიების და გარემო პირობების ცვალებადობის, ბუნებაში მიმდინარე ფორმათწარმომქმნელი პროცესების ზემოქმედების გამო, მცენარეთა დაავადებების მუდმივი და სისტემატური შესწავლა აუცილებელია. გამომდინარე აქედან, 2019 წელს, ფიტოპათოლო-

გიური მიმართულებით კვლევები აქტიურად მიმდინარეობდა საქართველოს სხვადასხვა რეგიონში მნიშვნელოვან სასოფლო-სამეურნეო და სხვა მცენარეული კულტურების ეკონომიკურად მნიშვნელოვან და განსაკუთრებული საფრთხის შემცველ, მათ შორის, საკარანტინო, მავნებელ-დაავადებებზე.

ბიომრავალფეროვნების მიმართულებით კვლევების პრიორიტეტია: ბიომრავალფეროვნების ცალკეული კომპონენტის შესწავლა, დაცვა, კონსერვაცია, გონივრული გამოყენება. ამ მიმართულებით, გარდამავალი თემების ფარგლებში, 2019 წელსაც გრძელდებოდა კვლევითი სამუშაოები. ინსტიტუტის ნაკვეთზე ჩვენს მიერ გაშენებული ნარინჯოვანი კულტურების (მანდარინი, ფორთოხალი, ლიმონი, გრეიპფრუტი, ციტრონი, კინკანი, ლაიმი, პომპელმუსი, ნარინჯი და სხვა), ვაშლის, მსხლის, კივის, ფეიჰოას, თხილის, სამკურნალო მცენარეების საკოლექციო ნაკვეთები შეივსო ახალი სახეობებით, ჯიშებით, ჰიბრიდებით, ფორმებით, შეიქმნა ციტრუსოვნების მუტანტური ფორმების კოლექცია. მიმდინარეობს კოლექციებში არსებული მცენარეების ბიომორფოლოგიური, ბიოქიმიური და სხვა სახის კვლევები. ჩატარებულია დასავლეთ საქართველოს სამ სხვადასხვა ეკოლოგიურ ზონაში (აჭარა, გურია, სამეგრელო) ფეიჰოას აღებული ნიმუშების ეკოლოგიური მონიტორიგი (მძიმე მეტალები, რადიოაქტიური ნივთიერებები). აქტუალურია კვლევა, რომელიც ეხება კივის ადაპტაციის პოტენციალის შესწავლას მაღალმთიან აჭარაში. აქტუალურია ვაშლისა და მსხლის გამორჩეული და ენდემური ჯიშების გენეტიკური და ბიოქიმიური კვლევები. გრძელდებოდა ფარმაკოგნოსტური კვლევები აჭარის ადგილობრივ და ინტროდუცირებულ ფლორაში ამ დრომდე შეუსწავლელი მცენარეული სახეობების სამკურნალო დანიშნულებით გამოყენების მიზნით გამოვლენისთვის.

ციტრუსოვან კულტურებზე საანგარიშო პეროდში დასრულდა მონოგრაფია ,,მუტაციები და ფორმათწარმოქმნის პროცესები ციტრუსებში", რომელმაც გაიარა რედაქტირება/რეცენზირება და გარე რეცენზირებისთვის გადაეცემა უნივერსიტეტის გამომცემლობას. ციტრუსოვანთა ატლასის გამოსაცემად მოძიებული იქნა ინფორმაციები ციტრუსოვანთა სხვადასხვა ჯიშების მორფოლოგიური და სამეურნეო თავისებურებების შესახებ, მომზადდა მდიდარი ფოტომასალა. ციტრუსების მონაცემთა ბაზა

შეივსო ახალი ჯიშ ნიმუშების მონაცემებით. შიდასაუნივერსიტეტო საგრანტო პროექტის ფარგლებში გამოიცა ფერადილუსტრირებული ,,იაპონური კამელიის ატლასი", რომელიც მოიცავს ინფორმაციას აჭარის ზღვისპირეთში მოზარდი იაპონური კამელიის 131 ჯიშსა და 2 ჰიბრიდზე.

მნიშვნელოვანია გრძელვადიანი კვლევები კოლხეთის ტორფნარებისა და წყლის ეკოსისტემების კონსერვაციის მიმართულებით, რომელთა შედეგები საფუძვლად დაედება ეკოლოგიურად და ეკონომიკურად მომგებიანი პროექტების და მდგრადი მეთევზეობის განვითარებას. მსოფლიოში უნიკალური კოლხეთის ტორფნარების კვლევის ინსტიტუტში მიღებული შედეგები და მიღწევები არის ერთ-ერთი წინაპირობა იმისა, რომ კოლხეთის ჭარბტენიანი ტერიტორიები და კოლხური ტყეები შჩ-ს მსოფლიო ბუნებრივი მემკვიდრეობის ძეგლად არის ნომინირებული და ელოდება ამ სტატუსის მინიჭებას. შავი ზღვის იხტიოფაუნისა და ზღვის ძუძუმწოვრების კვლევის შედეგად, 2019 წელს პირველად უკანასკნელი 30 წლის განმავლობაში დაფიქსირდა შავი ზღვის კარგი ეკოლოგიური მდგომარეობის პარამეტრები, რაც მისი გაჯანსაღებისა და სრული რეაბილიტაციის მნიშვნელოვანი საწინდარია. 2018-2019 წლებში ჩვენს მიერ აღმოჩენილია იშვიათი და გადაშენებულად მიჩნეული სარეწაო სახეობა შავი ზღვის ნალიმი აიაროპსარუს მედიტერრანეუს, ასევე გადაშენებული და შორეულ წარსულში განთქმული სარეწაო თევზი Sparica Lithognathus მორმირუს, და შემოსული ეგზოტიკური სახეობა ზღვის ეშმაკი (ევროპული) შქუატინა სქუატინა , რომელიც შეიძლება შავი ზღვის ახალ სახეობად ჩაითვალოს. ამ სახეობების აღმოჩენა შავი ზღვის ეკოლოგიური გაჯანსაღებისა და იხტიოფაუნის რეაბილიტაციის მყარი საფუძველია. ამასთანავე მნიშვნელოვანია დელფინების სიკვდილობის შემცირების ტენდენცია.

გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციამ - შჩ-მ „ღია მეცნიერების" სტრატეგიის შემუშავებისთვის მსოფლიოს 6 ქვეყნიდან 6 მეცნიერი შეარჩია, რომელთაგან ერთ-ერთი ბსუ-ს ფიტოპათოლოგიისა და ბიომრავალფეროვნების ინსტიტუტის უვადო მეცნიერ - თანამშრომელი იზოლდა მაჭუტაძეა. ღონისძიების ფარგლებში მკვლევარმა UNESCO-ში გამართულ ფორუმში „მეცნიერება მშვიდობისა და განვითარებისთვის" მიიღო მონაწილეობა და წარმოადგინა რეკომენდაციები, რომელიც გათვალისწინებული იქნება სტრატეგიის შემუშავებისას. 2019 წელს, ფიტოპათოლოგიისა და ბიომრავალფეროვნების ბაზაზე მოპოვებული იქნა საგრანტო დაფინანსება და მიმდინარეობს პროექტები:

- საერთაშორისო გრანტი 200073: „ჟანგების კვლევა და გლობალური მონიტორინგი" (ხელმძღვანელი: ზ.სიხარულიძე).
- შოთა რუსთაველის ეროვნული ფონდის ფუნდამენტური კვლევების გრანტი FR-18-978: „საერთაშორისო სანერგეებიდან გამორჩეული მაღალმოსავლიანი, დაავადებებისადმი გამძლე საშემოდგომო ხორბლის გენოტიპების იდენტიფიცირება საქართველოს სხვადასხვა გარემო პირობებში გამოცდის გზით" (ხელმძღვანელი: ზ.სიხარულიძე).
- შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მობილობის (ინდივიდ. სამოგზაურო) გრანტი MG_TG-19-990 (ზოია სიხარულიძე).
- შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ,,ახალგაზრდა მეცნიერების კვლევების გრანტით დაფინანსების კონკურსის'' გამარჯვებული 2 პროექტი: „ეცტობაცტერიუმ და იცკეყა სახეობებით გამოწვეული კარტოფილის ბაქტერიული დაავადებების შესწავლა საქართველოში" (ხელმძღვანელი: მაკა მურადაშვილი) და „ლურჯი მოცვის (Vაცცინიუმ ულინინოსუმ) პროგრესირებადი სოკოვანი დაავადებების შესწავლა დასავლეთ საქართველოში" (ხელმძღვანელი: ლია ქოიავა).
- სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი (ახალგაზრდული) პროექტი: ,,აჭარის ზღვისპირეთის კამელიების მრავალფეროვნების შესწავლა, მონაცემთა ბაზის შექმნა და სადედე კოლექციის განახლება" (ხელმძღვანელი: დალი ქამადაძე).

ნაყოფიერი სამეცნიერო მუშაობის შედეგები ნათლად აისახა 2019 წლის სამეცნიერო კონკურსის წარმატებულ შედეგებში: 9 მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, 1 უვადო მეცნიერი თანამშრომელი, 6 უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, 8 მეცნიერი თანამშრომელი.

ინსტიტუტის სამეცნიერო ინტელექტუალური რესურსი, ახალი შენობა თავისი კაბინეტ-ლაბორატორიებით, მცენარეული კოლექციებით და სხვა, წარმოადგენს საუკეთესო ბაზას ახალგაზრდა თაობის, სტუდენტების მომავალ სპეციალისტებად და მკვლევარებად აღზრდის საქმეში.

ფიტოპათოლოგიისა და ბიომრავალფეროვნების ინსტიტუტის სამეცნიერო პერსონალის, ადმინისტრაციისა და ტექნიკური პერსონალის სახელით, მშობლიურ უნივერსიტეტს ვულოცავთ დამდეგ 2020 წელს. უნივერსიტეტისთვის 2019 წელი ფრიად ნაყოფიერი იყო, რაც უპირველეს ყოვლისა, ავტორიზაციის პროცესისა და საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის წარმატებით დასრულებაში გამოიხატა.

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტს ვუსურვებთ მშვიდობიან, წარმატებულ, სასიკეთო მიღწევებით გაბრწყინებულ 2020 წელს.

ფიტოპათოლოგიისა და ბიომრავალფეროვნების ინსტიტუტის დირექტორი
გურამ მემარნე
ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე
მარიამ მეტრეველი

კოლეგებს, პროფესორ-მასწავლებლებსა და რა თქმა უნდა, სტუდენტებს, ვულოცავ დამდეგ შობა-ახალ წელს! უფალმა ინებოს, 2020 გამარჯვებების, წინსვლის წლად გვეზეიმოს! ბოლო პერიოდის მანძილზე, ერთმანეთის გვერდიგვერდ დგომით არაერთი წარმატებული საუნივერსიტეტო პროექტის მომსწრენი გავხდით.

ბევრი გაკეთდა, ბევრიც გასაკეთებელი გვაქვს. ვიმედოვნებ, მომავალი ამ თანამშრომლობისა და საერთო საუნივერსიტეტო საქმისადმი პატივისცემის კიდევ უფრო გაღრმავების წელი იქნება. გილოცავთ კიდევ ერთხელ!

მერაბ დიასამიძე,
სტუდენტთა კარიერული მომსახურებისა და მხარდაჭერის სამსახურის ხელმძღვანელი



ვულოცავ ახალი 2020 წლის შემობრძანებას ჩემს უნივერსიტეტს, რექტორატს, ადმინისტრაციას და უნივერსიტეტის ყველა თანამშრომელს. წარმატებების, სიკეთის, სიყვარულის, სიხარულის, ხვავისა და ბარაქის მომტანი ყოფილიყოს დამდეგი შობა-ახალი წელი თითოეული ჩვენგანის ოჯახისთვის.

შობა-ახალ წელს ვულოცავ სრულიად საქართველო., მშვიდობას და მალე გამთლიანებას ვუსურვებ ჩვენს სამშობლოს. მინდა ყველას ბედნიერი სახეებით ვხედავდე. ჯანმრთელობა, კეთილდღეობა, ბედნიერება, სურვილების ასრულება დაგვბედეოდეს და რაც მთავარია, გვეცხოვროს სიყვარულით.

ღვთის წყალობა და მფარველობა არ მოგვკლებოდეს !!!

ინგა ბოლქვაძე, სამართლის დეპარტამენტის სპეციალისტი

ქართველოლოგიის ცენტრი: „მოგზაურობათა“ ქრონიკები

„მოგ ზაურობათა“ ქრონიკები იტევს ინფორმაციას ქართველოლოგიის ცენტრის ბოლო წლების რამდენიმე სამეცნიერო პროექტის შესახებ. კერძოდ, ესენია შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ორი საგრანტო პროექტი (1. „ტაო“ (ისტორიულ-ფილოლოგიური გამოკვლევა) - სამეცნიერო ხელმძღვანელი პროფ. მამია ფაღავა; 2. „მარადიდი“ - სამეცნიერო ხელმძღვანელი პროფ. მალხაზ ჩოხარაძე) და, ასევე, ბსუ-ს საგრანტო პროექტი „ქართველ მუჰაჯირთა შთამომავლები თანამედროვე თურქეთში“ (სამეცნიერო ხელმძღვანელები პროფ. მამია ფაღავა, ასოც. პროფ. ზაზა შაშიკაძე; კოორდინატორი პროფ. მალხაზ ჩოხარაძე).

ამგვარ პროექტებთან დაკავშირებული კვლევითი საქმიანობის სპეციფიკის შესაბამისად, 2016-2019 წლებში, ფართო იყო კომპლექსურ ექსპედიციათა გეოგრაფია თურქეთის რესპუბლიკაში: სავალე სამუშაოები მიმდინარეობდა: ა) ტაოში - ართვინის (იუსუფელის რაიონში) და ერზრუმის (ოლორის, ოლთისის, თორთომის, ნარმანის, უზუნდერეს, შენქაიას რაიონებში) პროვინციებში; ბ) კლარჯეთში, ამჯერად - ბორჩხის და ართვინის ცენტრალურ რაიონებში; გ) მარმარილოს ზღვის რეგიონის პროვინციებში - ქართველ მუჰაჯირთა შთამომავლებით დასახლებულ სოფლებში; დ) რიზეს პროვინციაში (ათინას, არტაშენის და ჩამლიჰემშინის რაიონებში). სამეცნიერო მივლინებათა მიზანი იყო, ერთი მხრივ, დიალექტოლოგიური, ფოლკლორული და ეთნოგრაფიული მასალების მოპოვება, მეორე

მხრივ მატერიალური კულტურის ძეგლების აღნუსხვა და აღწერა. ექსპედიციებში, პროექტების ინტერესებიდან და დასახული მიზნებიდან გამომდინარე, ჩართული იყო პროექტების ძირითადი პერსონალი, ასევე, მოწვეული სპეციალისტები: პროფესორები - მამია ფაღავა, მალხაზ ჩოხარაძე, მაია ბარამიძე, მერაბ ხალვაში, ზაზა შაშიკაძე, თინა შიოშვილი, რამაზ ხალვაში, ნუგზარ მგელაძე, ლილე თანდილავა, ჯიმშერ ჩხვიმიანი, მხატვარი ჯემალ მიქელაძე, მძღოლი ტარიელ დიასამიძე...

ტაო რომ ქართული ქვეყანაა, დღესაც თვალსაჩინოა, მიუხედავად იმისა, რომ ჟამთა ავბედობამ მეტისმეტად მწარედ დაატყო მსახვრალი ხელი... რეგიონი, ძირითადად, მეთურქულეა, ქართული ისმის მხოლოდ პარხლის მახლობელი ხეობის რამდენიმე სოფელში... ამ დასახლებებში გადარჩენილი ქართული გვაძლევს საშუალებას, რამდენადმე მაინც, აღვადგინოთ ტაოური დიალექტისა და ტაოს ფოლკლორის ისტორიული სახე.

ქართველი კაცის ნაკვალევი კი დღემდე ჩანს მთელი ტაოს ტერიტორიაზე, ბევრგან მკრთალად, ზოგან - უფრო მკვეთრად. ძველმა ტაოელებმა მრავალი საუკუნის განმავლობაში წერეს განაპირა ქართული რეგიონის ურთულესი ისტორია, რომელის წაკითხვასაც ვცდილობთ სასწაულებრივად გადარჩენილ მატერიალური თუ სულიერი კულტურის ძეგლებში, ეთნოგრაფიაში, კოლექტიური მეხსიერების ქაოსურ ფრაგმენტებსა და ზეპირ ისტორიებში, ტოპონიმიაში...

რაც შეეხება კიდევ ერთ პროექტს (მარადიდი) - იგი საქართველო-თურქეთის საზღვრისპირა დასახლებათა ფართომასშტაბიანი კვლევების მნიშვნელოვანი ეტაპია. მას შემდეგ, რაც სახელმწიფო საზღვარმა შუაზე გაკვეთა სოფელი, ადგილობრივი მოსახლეობის, ნათესავების, ერთი კულტურისა და ცნობიერების ხალხის ცხოვრება ორი, ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებული გზით წარიმართა. კულტურათა დიალოგის ამ უნიკალური შემთხვევის შესწავლა კი, წყაროებისა და სამეცნიერო ლიტერატურის ანალიზთან ერთად, აუცილებლად გულისხმობდა სხვადასხვა დარგის სპეციალისტების ინტენსიურ საველე მუშაობას ორივე მარადიდში და, ასევე, თურქეთის შიდა პროვინციებში - მუჰაჯირთა სოფლებში.

თურქეთში მცხოვრები ქართველების თაობათა არამარტივი ისტორია, წინააღმდეგობებით აღსავსე ცხოვრება, ამასთან ერთად, საკვლევი სივრცის მოცულობა, სამეცნიერო ამოცანათა მრავალფეროვნება, ამ ტიპის კვლევებისთვის დამახასიათებელი მრავალი ობიექტური თუ სუბიექტური ფაქტორი, ართულებს მკვლევართა მუშაობას. ამ სირთულეთა დაძლევაში ყველაზე არსებითად ჩვენებურთა გულითადი მასპინძლობა გვეხმარება ხოლმე.

ბსუ-ს ქართველოლოგიის ცენტრის მკვლევრებმა პროექტებით გათვალისწინებული სამუშაო წარმატებით შეასრულეს. კვლევების შედეგები სრული სახით აისახება მონოგრაფიებში, რომლებსაც ახალი, 2020 წლის დასაწყისშივე მიიღებს მკითხველი.

მალხაზ ჩოხარაძე
პროფესორი

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას, სტუდენტ-ახალგაზრდობას, ლექტორ-მასწავლებლებს, ყველა თანამშრომელს დიდი სიყვარულით და პატივისცემით გილოცავთ დამდეგ შობა-ახალ წელს.

გისურვებთ ჯამრთელობას, ბედნიერებას, სიყვარულს, სიკეთეს, ულევ სიხარულს, კეთილდღეობას, მშვიდობას, წარმატებებს პირად ცხოვრებასა და პროფესიულ საქმიანობაში.

ფეხბედნიერი ყოფილიყოს შობა-ახალი წლის შემობრძანება ყველა თქვენგანის ოჯახში. კვლავაც ჩვეული შემართებით გევლოთ ახალ-ახალი წარმატებების მისაღწევად.

უფალი იყოს თქვენი და თქვენი ოჯახების, სრულიად საქართველოს მფარველი.

გივი აბაშიძე, ასოცირებული პროფესორი

ახალი წელი ერთ-ერთი გამორჩეული და მნიშვნელოვანი დღესასწაულია, რომელსაც დიდი თუ პატარა განსაკუთრებული სიხარულით ელის. ამ დღეს ყველა ცდილობს დაივიწყოს ყველაფერი ცუდი, მადლიერებით გააცილოს ძველი წელი და იმედის თვალით შესცქერის ახალი წლის შემობრძანებას.თითოეული ადამიანი განსაკუთრებული მოლოდინით ხვდება ახალ წელს.

... დადგა სურვილების ასრულებისა და მიზნების განხორციელების დრო. გილოცავთ ახალი წლის შემობრძანებას! მშვიდობის, სიკეთისა და სიყვარულის მომტანი ყოფილიყოს 2020 წელი თქვენთვის და თქვენი ოჯახებისათვის! მინდა თითოეულ

თქვენგანს გულითადად მოგილოცოთ ეს დღესასწაული და გისურვოთ ბედნიერება, ჯანმრთელობა, მშვიდობა, დღეგრძელობა და კეთილდღეობა. დაე ეს წელი ყოფილიყოს ერთ-ერთი ყველაზე დიდი და წინგადადგმული ნაბიჯი თქვენი ყველაზე თამამი და სანუკვარი ოცნებების ახდენისათვის. ახალი წლის ყოველი დღე ახალი შთაგონებით, ახალი ჩანაფიქრებითა და ახალი ენერგიით იყოს სავსე. იმედი და რწმენა ნუ მოგიშალოთ ღმერთმა. ვიმედოვნებ, 2020 წლის სექტემბრიდან მეც ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის დიდი ოჯახის წევრი გავხდები.

ანანო დიასამიძე, აბიტურიენტი

მსოფლიო ჩემპიონი მკლავჭიდში

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის ეკოლოგიის სპეციალობის პირველი კურსის სტუდენტი მარიამ ნოდია მკლავჭიდში მსოფლიო ჩემპიონი გახდა.

მსოფლიო ჩემპიონი გოგონა ამბობს, რომ მომავალი სპორტის ამ სახეობას სრულიად შემთხვევით დაუკავშირა: „სკოლებს შორის მიმდინარეობდა ფრენბურთში ტურნირი და მეც ვმონაწილეობდი. ჩემმა თანაგუნდელმა ტრავმა მიიღო და ექიმთან მივიყვანე. ქალბატონი დარინა ცეცხლაძე ექიმის საპასუხისმგებლო პროფესიასთან ერთად მკლავჭიდელიც აღმოჩნდა, რომელმაც გვკითხა გვაინტერესებდა თუ არა ეს მიმართულება. იქედან გამომდინარე, რომ ბავშვობიდან ვიყავი ჩართული ფრენბურთში, ფეხბურთში, კალათბურთში, მძლეოსნურ გარბენაში, რომელშიც საპრიზო ადგილიც კი მოვიპოვე, ცხადია, არც მკლავჭიდზე დამიხევია უკან და ჩემი ინტერესი დავაფიქსირე. ქალბატონმა დარინამ დამაკავშირა მწვრთნელ თემურ ლიპარტელიანთან, რომელსაც ჩემზე დიდი ამაგი აქვს, მავარჯიშებდა. ჩვენ ერთობლივი შრომის შედეგად მოვიპოვეთ საქართველოს ჩემპიონის ტიტული“.

თბილისის თასის მფლობელი, აჭარის სამგზის თასის მფლობელი, ევროპის და მსოფლიოს ორგზის ვიცე ჩემპიონი მარიამ ნოდია რუმინეთში ქალაქ კონსტანცაში გამართულ შეჯიბრში მსოფლიო ჩემპიონი გახდა და გამარჯვებული დაუბრუნდა მშობლიურ ქალაქს. გოგონას პირადად მიულოცა წარმატება აჭარის მთავრობის თავმჯდომარემ. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელმძღვანელობამ ნორჩი ჩემპიონი ოთხი წლის განმავლობაში სწავლის საფასურისგან გაათავისუფლა, უნივერსიტეტის რექტორმა მას ამავდროულად სხვა ფასიანი საჩუქარიც გადასცა.

მარიამ ნოდია განსაკუთრებულ მადლიერებას გამოთქვამს მწვრთენელების - ლევან პოღოსიანის, ზურაბ თავბერიძის და მკლავჭიდის პრეზიდენტ გოჩა შავაძისადმი.

გაზეთი „ბათუმის უნივერსიტეტი“ ულოცავს მარიამ ნოდიას მსოფლიო დონის აღიარებას და მორიგ წარმატებებს უსურვებს.

რედაქტორი
იოსებ სანიკიძე

სპეციალისტი
ნესტან მამუჭაძე



გაზეთი დაიბეჭდა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტამბაში